ციცინო ჩხაიძე
ფშვილად ჩაეცქერი
უფხრიოლებს

ციცინო ჩხაიძე

მშვიდად ჩავცქერი ოფსკრულებს

თბილისი
2021

ვუძღვნი ჩემს უფროს ძმას,
კაბიტნის ბიჩვულ თანაშეძწეს და
საზღვაო კატასტროფის მსხვერპლს,

ბადრი შალვას ძე ჩხაიძეს.

რედაქტორი **თამთა ხიხაძე**

© ციცინო ჩხაიძე

ISBN 978-9941-8-2989-5

შემოდგომის კრიმანჭული

ქალბატონი ციცინო ჩხაიძისთვის წლებია პოეზია მკურნალად იქცა და არა მარტო პოეზია. წინამდებარე წიგნში, სწორედ, მისი ლექსები გახლავთ წარმოდგენილი.

ციცინო ჩხაიძე მკითხველმა პირველად მცირე ზომის პროზაული კრებულით — „ანბანური ინტეგრალები“ — გაიცნო. ანბანის ყველა ასოზე შექმნილმა 33-მა ორიგინალურმა, განსხვავებული ჟანრის ნაწარმოებმა მკითხველთა წრეში საინტერესო გამოხმაურება ჰპოვა.

რაც შეეხება ლექსების წერას, სტუდენტობიდან დაუწყია.

მის ლექსებში, სევდასთან ერთად, არაცოცხალი ბუნების ტრფიალი და გაცოცხლება შეინიშნება. ხშირად მიმართავს გაპიროვნებას, ფაქიზად აღწერს, თუნდაც, ღრუბლის სულიერ სამყაროს, განცდებს; ხატოვნად გადმოგვცემს წითელი ნეკერჩხლის ერთი ნახვით შეყვარებას. მისი ლექსები უხვადაა დახუნძლული მრავლისმთქმელი და ხშირად მისეული მხატვრული ეპითეტებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ავტორის ქართული ენისადმი უსაზღვრო სიყვარულს და პატივისცემას.

პოეტი გულწრფელად, შეუფუთავად ამბობს სათქმელს, ყოველგვარი მლიქვნელობის გარეშე. მისი ლექსები ღვთის ძიებაა საკუთარ თავში, სიმარტოვის დაძლევა, ამ ქვეყნიდან იმიერში ღირსეული გადასვლის სურვილი.

ციცინო ჩხაიძის პოეზიაში მრავლადაა გამოყენებული მხატვრული ხერხები, ამათგან აღსანიშნავია გაპიროვნება, რომელსაც ავტორი საკმაოდ ხშირად მიმართავს. მაგ.: „შორს ნეკერჩხალი ცეცხლს აგიზგიზებს, თითქოს წვავს მწვადებს“; „ღრუ-

ბელი ანცობს“; „ფრინველი ნაღვლობს“; „ქათმები ცეკვავენ ტანგოს“; „მაჭარი ბორგავს“; „პუჭუჭკურა, რომ გადამთვრალა ყურძნის სურნელით, მასკარადს აწყობს“; „ეს შემოდგომის ფერადოვნება კრიმანჭულობს და ლეკურს თამაშობს“...

ქალბატონი ციცინო ჩხაიძე სათქმელს ხშირად შენიღბულად, გადატანითი მნიშვნელობით გამოხატავს. ალეგორია მისი საყვარელი მხატვრული ხერხია. მაგ.: „აზრების სერია“; „სიტყვები „კრიმანჭულს“ მღეროდნენ“ და „შემოდგომა“ იანვრისაც ვნახეთ“.

ლექსებში შეგხვდებათ ომონიმებიც, სიტყვა შემოდგომა გამოყენებულია, როგორც: წელიწადის დრო; წამოწყებული საქმის წარმატებით დასრულება; ამასოფლიდან გასვლის მოლოდინის სიმბოლო; ადამიანის ცხოვრების გარკვეული ეტაპი, ასაკი და როგორც შემომდგომი — საყრდენი. წერტილი კი, მხოლოდ სასვენი ნიშანი არ გეგონოთ. ავტორისთვის ის ხან ცხოვრების ერთი ეტაპის დასასრული, ხან გარკვეული ურთიერთობის შეწყვეტა, ხანაც სიცოცხლის ფინალის — წუთისოფლიდან გასვლის აღმნიშვნელია.

როგორ შეიძლება არ აღფრთოვანდე კიდევ ერთი საოცრად განსხვავებული, მეტაფორებითა და ეპითეტებით დატვირთული ლექსით – „მზის სადიდებელი“?! სათაურიდანაც ნათლად ჩანს, რომ ავტორი მეტისმეტადაა შეყვარებული მზეზე, მის სარგებლიანობაზე. ლექსში შეგხვდებათ გამოსახვის თითქმის ყველა მხატვრული ხერხი. მაგ.:

შედარება – „მზეა ერთადერთი,
როგორც დედა — ერთი“.

გაპიროვნება – „მზეა მუდამ მცინარი“.

ჰიპერბოლა – „მზეა ყველას ღმერთი,
ყველასათვის ერთი”.

ალეგორია – „მზეა გოგმანა წრეზე,
თბილ შალს „მოგასხამს“ მხრებზე“.

ალიტერაცია – იგი უფრო მუსიკალურს და კეთილხმოვანს
ხდის თითოეულ სტროფს:
„მზეა ჩინი თვალის,
იმედია ხვალის“.

აქ ისეთ სიტყვათშეთანხმებებსაც ვხვდებით, რომლებიც ავტორისეულია და მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნის. მზეა: „ქვეყნისმოყვარე“, „ნაკლებმზრუნველი“, „მაშველმრავალი“, „თბილსხივებმდინარი“, „სხივებანცი“ და სხვა.

ლექსი „მზის სადიდებელი“ ასევე გამორჩეულია განსხვავებული სტილით – თითოეული სტროფი ორტაეპიანია და ცალკე აღებული გამოხატავს დასრულებულ აზრს.

ციცინო ჩხაიძე მხატვრულად აფორმებს სათქმელს თავის პოეზიაში. შთამბეჭდავია ფრაზები: „გული მეღრძო“, „უიღბლო იღბალი“, „მტირალ–მკვნესარი შეშები“, „წამწამებდახრილი ტირიფი“, „ძოწისფერი მარმაში“...

ავტორის მოგონებებში მუდამ ცოცხლობენ გურია და გურულები. კუთხური კოლორიტის გადმოსაცემად ხშირად იყენებს დიალექტის ფორმებს: ჭინჭილა, ჩელტი, კობული, ხალამი, პწკალა, პუჭუჭკურა...

ამგვარად, ქალბატონი ციცინო ჩხაიძის პოეზია, მის განვლილ ცხოვრებაში ტკივილიან განცდებს – „უიღბლო იღბალს“ თუ გამონათებებს, წარმოაჩენს მხატვრული ფორმით.

თამთა ხიხაძე

წამწამებდახრილი ტირიფი

შვილები სანამ პატარები იყვნენ, დროთა სვლას ვერ ვგრძნობდი. მიუხედავად მძიმე ცხოვრებისა, მაინც ბედნიერი ვიყავი და სავსე.

ახლა, დაზრდილნი სხვადასხვა მარშრუტით რომ დადიან, სიმარტოვე ვიგრძენი. მარტომავალ–მარტოსულს, აზრის გამზიარებლის პრობლემაც კი შემექმნა.

სიმარტოვიდან თავის დასაღწევად გამოსავალი თვითონ–ნვე ვიპოვე:

ვიპოვე, რასაც ვეძებდი!
მსმენელთა ძებნა გადავდე,
უბის წიგნაკს და შავ კალამს
ჩემი ფიქრები გავანდე...

●

ზამთარს მკაცრს ველოდები,
ცივია შემოდგომაც,
ცხოვრება გაჭირდა,
მჭირდება „შემოდგომა“.

ავტორისგან

ცხოვრება – ერთგვარი მეჯლისია

ჭკვიანი გულის მახეა,
ლამაზი — თვალის;
სიყვარული კავშირის საბაბია,
გულგრილობა — დაშლის.

ერთგულება ერთობის დუღაბია,
ღალატი — გაყრის;
ანგელოზი იმ სახლს დარაჯობს,
სადაც ბავშვები დახტის.

ქილიკი უსახურთა წესია,
მჭევრმეტყველებაშია ნიჭი;
თავხედობა ბრბოთა მაგნიტია,
კდემა — ღირსეულთა ნიხრი[1].

დიალოგი, მშვიდ კითხვა–პასუხში,
ნიშაა ინტელექტის და ცოდნის;
სიმართლე ანთებულ სანთელს ჰგავს,
ტყუილი ბუდეა ცოდვის.

ზოგის სავალი გზა სპირალია,
ზოგი წრეწირზე ტრიალებს,
ზოგი, მიწაზე ბორძიკობს,
ზოგი დაიპყრობს მწვერვალებს.

[1] ნიხრი – ტარიფი; აქ: საზომი, შეფასება.

ცხოვრება ერთგვარი მეჯლისია,
ვისთვის საამური, ვისთვის მწყრალი;
ზოგი თბილი ქურქით დაბრძანდება,
ზოგი — სიცივისგან დამზრალი.

სიხარბე ქონების მომხვეჭია,
სიკეთე — მეგობრის და სტუმრის;
შვილები არსია სიცოცხლის,
სიცოცხლე — წყალობაა უფლის.

01.09. 2019 წელი.
თბილისი.

მზის სადიდებელი

მზეა ერთადერთი,
როგორც დედა — ერთი.

მზეა შთაგონება,
ახლის წამოწყება.

მზეა სანატრელი,
როგორც — საყვარელი.

მზეა მგოსნის მუზა,
ვით გემისთვის — ღუზა.

მზეა ჩინი თვალის,
იმედია ხვალის.

მზეა დასტაქარი,
გულის გასახარი.

მზეა სანდო, ერთგული,
საყრდენი საფეხური.

მზეა ის სიყვარული,
რასაც არ აქვს სასრული.

მზეა სულის ლოტბარი[1],
ვით ტაძარში — მოძღვარი.

მზეა კეთილგანწყობა,
საქმის დროზე აწყობა.

მზეა გულში რწმენა,
სულის გადარჩენა.

მზეა ფიქრთა ცვენა,
აზრთა აღმაფრენა.

მზეა შემართება,
სიმაღლეთა ძლევა.

მზეა ქვეყნად ნათელი,
ვით ტაძარში — სანთელი.

მზეა განძი ნამდვილი,
როგორც ქალი — მანდილით.

მზეა ქვეყნის მმართველი
და სიუხვის დამრთველი.

მზეა აღმამფრენი,
იდეების აღმძვრელი.

[1] ლოტბარი – აქ; რაც სულს გამოაცოცხლებს, აამღერებს.

მზეა მანათობელი,
ქვეყნის მარათონელი.

მზეა ჩვენი დამცველი,
ბნელეთიდან დამღწევი.

მზეა საძირკველი,
მყარი დასაყრდენი.

მზეა ყოვლის მომცველი,
როგორც დედა — მლოცველი.

მზეა ყველგან გამყოლი,
უფალივით თან მყოლი.

მზეა ჯადოქარი,
ჯადოსნური ქნარი.

მზეა ნატვრისთვალი,
ქვეყნის მარჩენალი.

მზეა „მაშველმრავალი[1]“,
მისკენ გვიჭირავს თვალი.

[1] მაშველმრავალი – აქ: მრავალ საქმეში მაშველი.

მზეა ჩვენი სალბუნი[1],
უანგარო მსახური.

მზეა საგანძური,
არ აქვს საფასური.

მზეა მნათი საბადო,
სასიცოცხლო ბაჯაღლო.

მზეა სამყაროს კრედო [2],
მისია სასიკეთო.

მზეა ჩვენი ნობათი,
დაუთვლელი დოვლათი.

მზეა „ქვეყნისმოყვარე“,
მოდის, როგორც მოყვარე.

მზეა „ნაკლებმზრუნველი“,
თუ ხელს უშლის ღრუბელი.

მზეა გადაუღლელი,
და სოლისტი უცვლელი.

[1] სალბუნი – იგივეა, რაც მალამო.
[2] კრედო – (ლათ.) რწმენა, მრწამსი.

მზეა მამხნევებელი,
დავრდომილთა მხედველი[1].

მზეა ჯარაექიმი[2],
ის არ მოდის ეგიდით.

მზეა მახარობელი,
გულის გამათბობელი.

მზეა წამშველებელი.
თანაც მაცოცხლებელი,

მზეა ყველას ღმერთი,
ყველასათვის ერთი.

მზეა ღვთის მოციქული,
ყველას კარზე მისული.

მზეა სანდო მკურნალი,
კარდაკარით მავალი.

მზეა „ნავი–ნუგბარი“,
მეზღვაურთ სანუკვარი.

მზეა სითბოს გამცემი,
მაგალითის მომცემი.

[1] მხედველი – აქ: მიმხედავი.
[2] ჯარაექიმი – (ძვ.) შინაური ექიმი.

მზეა გოგმანა წრეზე,
თბილ შალს „მოგასხამს“ მხრებზე.

მზეა, ჩვენ რომ გვაკაჟებს,
სასარგებლოდ კაშკაშებს.

მზეა მუდამ მღვიძარი,
სულ სხვისი მაღვიძარი.

მზეა ჯანმრთელი გული,
რიტმი მკაცრად დაცული.

მზეა სიცოცხლის არსი,
მთელი სამყაროს მრწამსი.

მზეა ადამთა რწმენა,
სიცოცხლის გადარჩენა.

მზეა მეგობარი,
იმედის მომტანი.

მზეა მამხნევებელი,
დავრდომილთა საყრდენი.

მზეა სულის წამალი –
ბრძოლის ველზე ალამი.

მზეა სამყაროს დედა,
სიცოცხლის გამრავლება.

მზეა ჩვენი დამცველი,
განწირულთა მაშველი.

მზეა სითბოს მფლობელი,
ნაყოფის „მატკბობელი“.

მზეა ქვეყნის სინათლე,
სინათლე კი — სიმართლე.

მზეა მაშველი „ნავი“,
იმედის ნაპერწკალი.

მზეა მუდამ მცინარი
და „თბილსხივებმდინარი“.

მზეა „სხივებანცი“,
შრომაში ქანცს გაცლის.

მზეა მართლაც მძლეთამძლე,
მის გარეშე ვერ გაძლებ.

მზეა მაცნე აისის,
დღეს ამთავრებს დაისით.

ოქტომბერი 2020 წ.
თბილისი.

ვიპოვე რასაც ვეძებდი!

დაფრთიანდნენ, გადაფრინდნენ,
ღვთის ანაბრად დავრჩი,
ყველა ახალ საქმეშია,
მე – ძველ ცხოვრებაში.

მათ გარეშე გამიჭირდა,
სხვა არავინ მყოლია,
გადაჭედილ სამყაროში
თავი მარტო მგონია.

დავდივარ და... ყველა შემხვედრს,
თვალს ვადევნებ, მგონია,
აღმოვაჩენ ვინმე მსმენელს,
მთლად გაბრიყვდა გონია[1]!

,,ეძიებდე და ჰპოვებდეს“
იმედი ვის არ ჰქონია?
ჰოდა, ვეძებდი სულგრძელად,
მარტოსულობის მქონია.

იმედი მქონდა სულ მცირე
ნაპოვნით შვებას ვიგრძნობდი,
თურმე, რა ტყვილა ვეძებდი?
გვერდით მყოლია, ვერ ვგრძნობდი.

[1] გონია – იგივეა, რაც გონება.

მუდამ მზად არის მისმინოს,
ხშირად ჩემს ცრემლებს შეიშრობს,
ვებაასები, როცა მსურს,
ერთადერთობა შეიშნო.

ვიპოვე, რასაც ვეძებდი!
მსმენელთა ძებნა გადავდე,
უბის წიგნაკს და შავ კალამს
ჩემი ფიქრები გავანდე.

ის გახდა ჩემი მეგზური,
ჩემი შემწე და ნუგეში,
სანამ ვიცოცხლებ, მექნება
უბის წიგნაკი უბეში.

29.05.2014 წელი.
თბილისი

წითელ ნეკერჩხალს

ნეკერჩხალო!
ნეკერჩხალო!
მოგიზგიზე ნაკვერჩხალო!
შენ ყვავილი არ გჭირდება,
ხეთა მოდგმის დედოფალო!

ნეკერჩხალო!
მეწამულად შეფაკლულო!
სინაზის და სილამაზის
საიდუმლო ცხრაკლიტულო!

ნეკერჩხალო!
ჩაუქრობელ ცეცხლის ალად ანთებულო,
დედამიწის მშვენებავ და...
სიფრიფანა,
შვიდფურცელა ყვავილედთა
დიდებულო თაიგულო!

ნეკერჩხალო!
ნეკერჩხალო!
მოგიზგიზე ნაკვერჩხალო!
შენ ყვავილი არ გჭირდება,
შენ ხომ თვითონ ყვავილი ხარ,
ხეთა მოდგმის დედოფალო!

24.04.2017 წელი.
თბილისი.

მიმართვა ადამიანს აკროსტიხად

ა–დამიანი
ბ–ერდები,
გ–ანზე
დ–ადგები;
ე–ძლევი
ვ–იშვიშს,
ზ–რუნვაში
თ–ეთრდები,
ი–ლევი,
კ–დემით
ლ–ოცვაში
მ–აღლდები,
ნ–აღდდები,
ო–ხვრაში
პ–ატარავდები,
ჟ–ღნები.
რ–ოდემდეც
ს–ააქაოთი
ტ–კბები,
უ–ნდა
ფ–ეთქავდეს
ქ–ართული
ღ–ირსება
ყ–ოველგან
შ–ენში;
ჩ–ერდები?
ც–ხოვრება
ძ–ლიერი
წ–აგაცლის
ჭ–ანგებს[1]
ხ–ოხავ და...
ჯ–ერდები
ჰ–აერს!

16.06. 2016 წელი.
თბილისი.

[1] ჭანგი – ბრჭყალი, კლანჭი.

იმედი არ მტოვებს

განვლილი ცხოვრება გვირაბს მივამსგავსე,
ერთფეროვანსა და ბნელს,
მორჩა, აღარ მინდა მისი გახსენებაც,
მინდა, სამყაროთი დავტკბე დღეს.

ვზომავდი ცხოვრების სიგრძეს და სიგანეს,
ამ ზომვა–წონვაში ღმერთი დამეხმარა,
მეც არ დავბნეულვარ, ზუსტად შევკერე,
,,საბანი“ იმხელა, ფეხი დამეფარა.

ღმერთო, მიშველეს! თქმას ვერც ვასწრებდი,
ცხოვრების ხერგილებში მებრძოლი;
ღმერთი გვერდით მედგა, მამხნევებდა,
მისი წყალობით, ფეხზე ვდგებოდი.

ხანგრძლივი ყოფილა გვირაბში ცხოვრება,
არა და... ვერ ვგრძნობდი დროთა სვლას,
ბოლოში აღმოვჩნდი მოხუცი ქალბატონი,
ახალგაზრდობა გვირაბს შეუსანსლავს.

სულ სხვა ყოფილა ცხოვრება სამყაროში,
სულ სხვაა მოქცევის წესებიც,
ფეხები მებლანდება, ძლივსღა დავდივარ,
მშველელს დავეძებ, ჩამჭიდოს ხელები.

კუთხეში ვდგავარ და... შევყურებ სამყაროს,
მყარად დადგომას გონებით ვცდილობ,
გარემოს შეცნობას, დღე-ღამის შეგრძნებას,
სიცოცხლე თუ დამცალდა, მოვასწრებ, ვფიქრობ.

მწარე სიმართლეა: ჩემმა დრომ ჩაიქროლა,
უცხოა ყოველი – სამყაროს სიამენი.
ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებ!
„სწავლა სიკვდილმდეა“! არ დავიკარგები!

ღმერთი მოწყალეა, ფეხზე დავდგები,
გზებიც გამოჩნდება სავლელი,
იმედი არ მტოვებს! ვიცი, მოჰყვება:
„ჭირს ლხინი, ბნელს – კი ნათელი“.

19.07.2015 წელი.
თბილისი.

საღირალი

ჯერ ვერ შეგამჩნიე,
მერე შეგარჩიე,
სილა გამაწანი,
მშვიდად შეგარჩინე.

როდის?
როდის არც კი მახსოვს,
ერთი უჩინარი მწირი[1],
მკერდზე ისე მიგეკარი,
როგორც უფერული ღილი.

გავა დრო, ალბათ ღილს მოგლეჯ,
კვალსაც გააქრობ — ნაღილარს,
მაგრამ ვერ წაშლი, ვერ მოსპობ,
გულის სიღრმეში — საღირალს.

05.03.2018 წელი.
თბილისი.

[1] მწირი – განდეგილი, უნათესაო.

წერაში შვება მოდის

ჩემი დაჯღაბნილი ლექსად რომ აღვიქვი,
გავბრიყვდი, მეგონა, ცას ვჭიდე ხელი,
იქვე თაროზე რუსთაველს გავხედე და...
სირცხვილის მომწყდა წელი.

მიწაზე დავენარცხე, თავი შემეცოდა,
დავმარცხდი! უნიჭობას ვსტირი!
— შენს დაჯღაბნილს თუ ლექსი დაარქვი,
მაშ ჩემსას რა ჰქვიაო? — ჩაფერფლა სხივი.

– შენ! — პოეზიის მსოფლიო საოცრება ხარ!
  მე კი — არარაობის მღილი!

  მაგრამ...

ღვთისგან კურთხევა მაქვს, მე უნდა ვწერო:
რაც მინდა, როგორც მინდა, სადაც და როდის;
რა ვქნა?! მარტოსულს თუკი მირჩევნია:
ვწერო და ვწერო... წერაში შვება მოდის.

წლების მანძილზე დაგუბებული
ნაფიქრალები, ჭირი თუ ლხინი,
უბის წიგნაკში რომ გადმოვწერე,
ავმსუბუქდი და... ხელახლა ვიშვი.

30.08.2014 წელი.
თბილისი.

შემოდგომის ფერადოვნება

ჩაშემოდგომდა.
ხეებს აქა–იქ შემორჩათ მწვანე,
შორს ნეკერჩხალი ცეცხლს აგიზგიზებს,
თითქოს წვავს მწვადებს;
ნისლს აფერმკრთალებს,
მთებსაც ხიბლს მატებს.
გაზაფხულობით წყალუხვი წყარო,
კლდიდან ვარდნილი,
ძლივს მოწანწკარებს.

ღრუბელი ანცობს,
ზამთრის პირს გვამცნობს,
მოსავლის დაბინავებას
გლეხკაცი ჩქარობს,
ხან ეზიდება ზამთრის სარჩოს,
ხან შეშას აპობს,
პარმაღში აწყობს.

გადამფრენ ფრინველთ
კამარა შეუკრავთ,
დამრჩენი ნაღვლობს
და... აღარ გალობს;
ქათმები,
კალოზე დაყრილ სიმინდთან,
კურკურებენ და ცეკვავენ ტანგოს;

პატრონი
საძოვრად მიმავალ საქონელს
სახრეს „გადუჭერს“,
ზლაზვნას რომ ატყობს.

მაჭარი
საწნახლის კედლებს ასკდება,
ბორგავს,
ბუჟბუჟებს,
გადმოღვრას ლამობს;
თავს დასეული პუჭუჭკურა[1],
რომ გადამთვრალა ყურძნის სურნელით,
მასკარადს აწყობს;
თავდავიწყებულ ბზრიალ–ტრიალში,
ერთმანეთს,
მაჭრის ღვარცოფში ახრჩობს.

•

ეს, შემოდგომის ფერადოვნება,
მოგონებებში მავსებს, მახარებს,
კრიმანჭულობს და ლეკურს თამაშობს.
ფიქრის დასასრულს...
სევდა ისე მეჩხირება ყელში,
ლამის დამახრჩოს.

27. 10. 2020 წელი.
თბილისი.

[1] პუჭუჭკურა — (გურ.) წვრილი მწერი.

სილამაზე ცვეთადია, სიყვარული - გულში მრჩენი

ერთი ნახვით შეყვარება

გიგრძენ, ჩემო ნეკერჩხალო, ელვარ[1], ზღაპრულ ლამაზმანად,
შეყვარებულს მომლოდინე, დგახარ კეკლუც გოგოს დარად,
შენი თავი ვინ მაჩუქა, გულმა ჩემად რომ ჩაგთვალა?!
ღრუბლიანი ზამთრის პირი მომაჩვენე მზიან დარად.

დაგინახე, ბედნიერი კისკისებდი გადამდებად,
ბროწეულის ძოწისფერ წვენს შეუღებავს შენი კაბა,
სურვილი მკლავს, მოგეხვიო, ჩაგიხუტო გულში მაგრად,
მაგრამ ვშიშობ არ დაგფლითო, არ ჩამაკვდე სიფრიფანავ.

შემოგხედე, გული მეღრძო, კდემა შემომეფართხალდა,
დედოფალს გადაგეყარე, მაყრიონი არ ჩანს არსად,
ვჩქარობდი და... ვჩქარობ აღარ, როგორ ამერია თავგზა?!
გულის კუნჭულს რას გაუგებ?! კვაწარახი ვიქეც თაფლად.

მხოლოდ შენ შემოგციცინებ, გადარჩენის იმედს ვკარგავ,
დაბნეულს გადამავიწყდა: სად ვიყავი?! ახლა სად ვარ?!
მზე სადღაც გადამალულა, ალბათ, მეტოქედ ჩაგთვალა.
ხელისგულნი მოგაფიცხე, თითქოს ბუხრის პირას ვდგავარ.

---

[1] ელვარ – იგივეა, რაც მოელვარე.

ხიბლში თავგადაკარგული, გადავიქეც გრძნობის ღვარად,
აღქმის ამ განზომილებას მხატვარიც კი ვერ დახატავს,
მხოლოდ გული შეიგრძნობს და... მხოლოდ გული დაინახავს;
მეშინია ფოთოლცვენის!... ამის წარმოდგენაც მზარავს.

ვერ გშორდები, გეფერები, სიყვარულით გიმზერ ნაზად,
მე თვალებმა გამაკვირვეს, ჩემით გაკვირვებულ მგზავრთა,
ცოცხალ სიზმრის მეპატრონეს აღმიქვამენ, ალბათ, მთვრალად,
ერთი ნახვით შეყვარებაც, სწორედ, ამას ჰქვია, ალბათ.

17.11.2018 წელი.
თბილისი.

- (სამი თვის შემდეგ)

მე ტყვე ვიყავ, შენ კი – მუნჯი

სიყვარულით გადამწვარი მე იარებს ვიშუშებდი,
როცა ფეხზე წამოვდექი, სანახავად წამოვედი,
მოგეახლე, ვერ გიცანი, ჩაგაკვირდი და გავშეშდი,
გულის ძგერა შემიჩერდა, ახლა ვეღარ გადავრჩები.

ჩამოკონკილ–ჩამომხმარხარ, ლამაზმანი სად წახვედი?!
აღარა ხარ ძველებურად, მოკისკისე, აღმამფრენი,
ძოწისფერი კაბის მარმაშს[1], დაუკარგავს იერ–ფერი,
სილამაზე ცვეთადია, სიყვარული — გულში მრჩენი.

[1] მარმაში – (ძვ.) თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი ერთგვარი.

გულისწყვეტა მანადგურებს, რატომ არ ვარ გაბედული?!
სიყვარულში ვერ გაგიტყდი, შეგყურებდი დადაგული,
მე მეგონა, ვერ მამჩნევდი, იდექ, ისე მედიდური?!
თურმე შენაც შეგიყვარდი, ჩემთვის თრთოდა შენი გულიც;
გვიანია სინანული, დავრჩით თავგზადაკარგულნი,
ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგეთ, მე ტყვე ვიყავ, შენ კი — მუნჯი.

24.02.2019.
თბილისი.

დედობის არსი

დასაბამიდან დედის ორგანიზმს
შვილის ადგილი, აჩუქა ღმერთმა,
რამდენი შვილიც არ უნდა ჰყავდეს,
ადგილს დედაში არ უნდა ძებნა!

ბრიყვ შვილს ჰგონია, დედას არ უყვარს,
თუკი სხვა შვილებს მის გვერდით ხედავს;
ნუ გეშინია, ის შენთანაც არის!
გული ხომ ყველა შვილში აქვს დედას!

03.03.2015 წელი.
თბილისი.

მსურს, მაგრამ...

წარსულის ჩაფერფვლა, გადავიწყება მსურს,
სურვილი ცალკეა, გონებით... ჩავკირკიტებ,
გულმარტოობა და სულმარტოობა
ისე შემისახლდა, ვეღარ ვივიწყებ.

•

მინდა, ჩუმად გავეცალო წუთისოფელს,
ფეხაკრეფით, კატასავით,
განვეშორო ამ ცხოვრების აყალ–მაყალს,
ჩამიხუტოს დედამიწამ დედასავით.

23.12.2017.
თბილისი.

ნაცნობზე ვწერ

ნეტა, მიყურებდეს ახლა დედაჩემი,
მოიწონებდა, ჩემს წერას, ნეტა?
გულის სიღრმიდან, აზრებად მოფრინავს
ფოთლები, ფიქრების ხეთა.

მითხრეს: — „სიყვარულს მიუძღვენიო,
რად გინდაო, ტკივილზე წერა?!“
ტკივილი ჩემი თანამგზავრია და...
უცნობზე ვერ დავწერ! ვერა!

24.11.2014 წელი.
თბილისი.

იძულებითი გადაწყვეტილება

არ შემიძლია, ვერ დავრჩები, აქ ვერ ვიცხოვრებ,
გუნდებს მესვრიან ტალახიანს, გამაპანღურეს,
ჰოდა... ამიტომ, მე გაღმისკენ მიმიწევს გული,
სადაც ღმერთია, წესი წესობს, იქ ვიმსახურებ.

03.03. 2019 წელი.
თბილისი.

ვარ დანაპირები

გაავდრდა...
ჭექს და ქუხს,
სეტყვა და ქარია,
შიშით მზეც გადაკარგულა,
ბუნება რამ გადარია?!

გზას ვიკვლევ,
მელიან...
არ ჩანს ნაპირები,
უკან ვერ დავიხევ,
ვარ დანაპირები.

15.08. 2019 წელი.
თბილისი.

ანდერძისამებრ წავიდა

ეძღვნება დეიდაჩემს,
ნუცა ჩომახიძე-ზარულავას

ადრე დაქვრივდა და... შერჩა:
მარტო-ხელობა და გარჯა;
დაჰქუთქუთებდა ორ ობოლს,
შემწე კი არავინ ჰყავდა.

ზე-წარმატებულ შვილებში
დაჯდომა არც კი დასცალდა,
უბედურებამ იქუხა...
გატყდა და წელში გადაწყდა.

გვიან გამომცხვარ ობლის კვერს,
რამ აუბნია თავ-გზა?
რად არ შეერგო ნაშრომი?
ვისთვის გამოცხვა? ან რად?

მშრომელ, თავდახრილ დედას,
გაუსაძლისდა თავი.
გულ-ძაძმოსილმა განვლო,
ცხოვრების ბოლო წამი.

ანდერძისამებრ წავიდა,
სურათებ-ჩახუტებული.
ღმერთო! ნათელში ამყოფე,
გთხოვ ჩოქვით, აცრემლებული.

23.03.2015 წელი.
თბილისი.

ბუნების „პოპური“

გაზაფხული,
ზაფხული,
შემოდგომა,
ზამთარი,
ყველას მისი როლი აქვს,
უნიფორმა მზად არის!

<u>გაზაფხული</u> — ბუნების ფერხული,
ჩიტების „მუსიკა“— ხმამაღლა ჩართული,
მოხუცი — მზის ყურზე მსუბუქად ჩაცმული,
გლეხკაცი — მინდორში სახნისით გასული.

<u>ზაფხული</u> — „პიკის“ საათია,
ქალაქი დაცლილი — სიცხით დაბანგული.
ზოგი მთაშია ასული,
ზოგიც ზღვაზეა წასული.

<u>შემოდგომა</u> — ხანდაზმული,
ჭრელ სამოსშია ჩაცმული,
სოფელი შრომაშია ჩაბმული,
სუფრა მსუყეა და ქართული.

<u>ზამთარი</u> — მრისხანე, პირქუში მოხუცი,
კარი ჩარაზული, ბუხარი ჩართული,
ხეებზე ფიფქების თეთრი თავთავები,
ბავშვები ციგებით სრიალში გართული.

13.12.2014 წელი.
თბილისი.

დ ა ბ ა დ ე ბ ა

თოვს და თოვს, სამყარო გათეთრდა,
საზღვრები მოისპო, სიკეთე გამეფდა,
მხოლოდ ფიფქები მოძრაობს უწყვეტად,
სხვა ყველაფერი გაჩერდა.

განგება, უთუოდ, წინასწარ შემზადდა,
გარემო სადედოფლოდ მორთო,
ბიჭის მოლოდინში იყვნენ და...
ტირილი გოგონამ მორთო.

ბუნება შედრკა, უკან დაიხია,
თოვა გაჩერდა, ატირდა... მორჩა,
ნამდვილი დედოფალი მოვიდაო,
ცა გადაიწმინდა, მზე გამოჩნდა.

16.01.2016 წელი.
თბილისი.

გზას ვეღარ ვხედავ

უფალო! არ მასმინო ამბავი ავი,
იქნება, ღირსმყო, მეწვიოს ნიავქარი;
ან, აღარ ამეხილოს გონების თვალი,
ან იქნებ, მომიხურო სამყაროს კარი.

გადავიღალე, არ მინდა ქარიშხალი,
გაცვდა და გაილია უღელი ცალი,
ალალბედზე მატარებს უნიჩბო ნავი,
გზას ვეღარ ვხედავ, კლდეები მოსჩანს სალი.

01.04.2017 წელი.
თბილისი.

იმედი

იმედი — გულში რწმენას მინთებდა,
იმედი — დაღლილს ძალებს მიკრებდა,
იმედი — თავთან, ნანას მიმღერდა,
იმედი — ჭირსაც ლხინად მიქცევდა.

იმედით — ურჩი იარაც შუშდება;
იმედით — ბნელეთიც შუქდება;
იმედით — ავი დარიც დარდება;,
გულში არ გაავდარდება.

10.01.2018 წელი.
თბილისი.

ბუნებრივი პეიზაჟი

ვწევარ და... ფანჯრიდან ხის კენწეროებით
შექმნილ პეიზაჟს, საოცარს შევყურებ.
ერთი ხის კენწერო, ჩიტია ფრთაგაშლილი,
მიზეზს ელოდება, მზად არის გაფრინდეს.

მეორე – თავდახრილი ქალია, შაოსანი,
მის წინ კი – ხევია ხახადაღებული,
ხევში მოჩუხჩუხებს ნაჟური მთის წყალი,
ქალის გვერდით დგას, კუდდახრილი, ძაღლი ერთგული.

ხევს გაღმა ხალხია ხელებ–აღმართული,
ევედრებიან შაოსანს თავდახრილს:
– შეჩერდი!
– შეჩერდი!
– გონებას მოუხმე!
– უფალთან რას იტყვი, რომ გნახავს ჯვარ–აყრილს?!

– ატარე, როგორმე, ეგ შენი მძიმე ჯვარი!
– არ დაემორჩილო ეშმაკის საცდურს!
– გამხნევდი!
– გამაგრდი!
– მიენდე ღვთის ნებას!
– სიმშვიდით, თავგზა აუბნიე მაცდურს!

29.06.2015 წელი.
თბილისი.

შუქ-ჩრდილის დუეტი

ჩრდილის გარეშე რა არის შუქი?
თითქოს, შერწყმულა ორი მუმია,
განა ვარსკვლავი, მზის ფონზე მოსჩანს??
კაშკაშებს, როცა ჩრდილი ზურგშია.

ვერც გავეცლებით, ვერც გადავმალავთ,
ტყუილად დაგვსდევს ფიქრი განდევნის,
როგორც, სიამის[1] ტყუპებს მუდმივად,
ამაოდ დასდევთ ფიქრი განკვეთის.

30.04.2016 წელი.
თბილისი.

ქრისტე ისმენს

საკუთარი თავის გარდა,
არ მგონია, მშურდეს ვინმეს;
არცა ქალი, არცა კაცი,
ჩემს ვედრებას... ქრისტე ისმენს.

08.08.2018 წელი.
თბილისი.

[1] სიამის ტყუპები – პათოლოგია, როცა ტყუპები სხეულის რომელიმე ნაწილით ურთიერთშეზრდილნი არიან.

გადავრჩები! გადავრჩები!

ზამთრის პირი გამიჭირდა,
ვდგავარ გულდარხეული,
ხერხემალგადატეხილი,
ინვალიდად ქცეული.

ეკალ–ბარდმა დამიკაწრა,
დამისერა სხეული,
იარები არ შუშდება,
დავრჩი ასე სნეული.

ცრემლმა გული ამორეცხა,
გული გადახეული,
ლოლუებად გადაიქცა,
დამიფარა სხეული.

ლოლუებიც ჩამოდნება,
იმედად ვარ ქცეული.
გადავრჩები! გადავრჩები!
ღვთის წყალობას ჩვეული.

20.10.2014 წელი.
თბილისი.

მაცნე კვამლი

შენი სახლის საკვამურში, ამომავალ ბაცმა ბოლმა,
მამცნო, სახლში რომ დაბრუნდი, განმიახლდა ნახვის ნდომა,
ისიც ვიგრძენ, სიო ნელი, ჩემდა სასიკეთოდ ქროდა,
მაცნე კვამლი სხვაგან არა, ჩემსკენ ჩქარა რომ მოჰქონდა.

შესახვედრად გავემზადე, გული სიხარულით თრთოდა,
ფანტაზიაც მომეძალა, იმედებიც აიკონა,
ბევრი რამ მაქვს მოსაყოლი, უთქმელობა დარდად მქონდა,
კარის ზღურბლს გადმოვაბიჯე, პირს ღიმილი ჩაგვეკონა.

11.10. 2018 წელი.
მანგლისი.

ჩვენ

ჩვენ ყველა შემოვრჩით სიცოცხლეს ფოთლებად,
და... უფლის წყალობით არ მოვწყდით კვირტებად,
ჩვენ უნდა გავუძლოთ ამინდთა ცვლილებას,
მრწამსს გავუფრთხილდეთ და... ჩვენ–ჩვენს ღირსებას.

18.09.2020 წელი.
თბილისი.

დუბლების დუბლი

ცხოვრების სცენაზე დგომა გამიჭირდა,
რატომღაც საჩემო არ მერგო როლი.
ჩემთვის უცხოა: ბინძური თამაში,
დაკვეთით ხტუნვა და როკი[1];

თვალთმაქცით გათვლები ფინანსური,
ფეხებზე დაკიდება სხვისი ინტერესის,
დასმენა, დამცირება, გადაგდება,
ფეხქვეშ გათელვა სხვისი ინტელექტის.

მე მსახიობი არა ვარ,
არც ვნაღვლობ, რომ არ მაქვს ნიჭი,
სასაცილოზე ვიცინი,
სატირალს – გულით ვტირი.

ჰოდა, უნიჭო მსახიობს
მენდო „დუბლების დუბლი“,
სცენა და ტაში სხვას ერგო,
მეე?... შავი საქმე, უხვი.

●

მავანთა ფიქრები კუჭზე გადის,
სხვისთვის ებევრება ფუნჩხები,
მრავალფეროვან წუთისოფელში
შეგხვდება მრავალი უძღები!

13.11.2014. წელი.
თბილისი.

[1] როკი – ცეკვა, ბუქნი, ხტომა.

ვედრება უფლისადმი

უძღები ვარ და თავხედი, როს მიჭირს, მაშინ გაკითხავ,
ეკლესიის გზა ,,დავკარგე", ვიზარებ ლოცვის წაკითხვას.

მხოლოდ შენ შემოგღაღადებ, შენ მყავხარ იმედად მხოლოდ,
წელში გამართვა გაჭირდა, ვცხოვრობ და თითქოს არც ვცხოვრობ.

ამ ოღროჩოღრო ცხოვრებამ დამღალა, გადავიქანცე,
ცოცხლებში აღარ ვწერივარ, ვხედავ, რომ გარდავიცვალე.

ჩემი სიცოცხლე რაღაა, თავისთვის ვერ მოვიცალე,
რა ვქნა? ღარიბის უღელი ჯერ კიდევ ვერ შევიცვალე.

ბოლოში გასვლას ვნატრულობ, ესეც ყოფილა რა ძნელი...
მოკლეა წუთისოფელი, ზოგისთვის, თურმე რა გრძელი...

მეც გამიგრძელდა ეს გზა და... ალბათ, უძლურის ხვედრია,
შრომაში თავგადაკარგულს ვგრძნობ, ძალა გამომელია.

შრომის უნარი წამერთვა, არ მაქვს განწყობა სალხინო,
ფარხმალდაყრილი ვდგავარ და... არავისთვის ვარ საჭირო.

უფალო, თხოვნას შეგბედავ, გევედრები მუხლმოყრილი:
ამ უცხო წუთისოფლიდან გამიყვანე ვალმოხდილი!

05.07.2014 წელი.
თბილისი.

ნატვრა

ნეტა, ჯადოსნურ რაშად მაქცია,
აისბერგებზე გავქროლდებოდი,
თეთნულდს, ევერესტს გადავხედავდი,
ერთ აისს ღრუბლებში შევხვდებოდი.
„ლოლუასისებრ“ წუთისოფელში
ამზევებული ჩავზამთრდებოდი.

27.09.2014 წელი.
თბილისი.

ჯღა ბრძნული

ყველაფერს როგორც საწყისი,
ისე აქვს, ბოლო, სასრული,
კიდევ მე, ნუ შემომყურებთ,
აქეთ მჭირდება, ჯღა[1] ბრძნული.

ათასჯერ გულგანგმირული
მაინც, თქვენზე ვარ მოკრული,
იმედს, ნუ გადამიწურავთ,
მიმრთელეთ გული, მოკლული.

05.05.2017 წელი.
თბილისი.

[1] ჯღა – (გურ.) ლობიოს სარი ტოტებიანი და უტოტო.

წინაპრებს შევხვდები

(გზა სკოლის დამთავრების შემდეგ)

კანონმორჩილი…
ვემორჩილები
ოჯახის ბრძანებებს.
მივდივარ მარტო,
მწვერვალსაც ვიპყრობ,
ვეწყობი…
ვჩერდები.
ვერ ვხედავ სინათლეს—
საჩემო ბრძოლის ველს,
ფუჭ ჭაპანს[1] ვეწევი;
ვბობოქრობ ფიქრებში…
დროებით ვნებდები.

ტვინს როგორ მიბურღავს
უიღბლო იღბალი?!
არ შველის ფიქრები,
სიახლეს სჭირდება ხერხები,
დროებით ვფერხდები.

●

ვეძებ გამოსვლის გზებს…
ვიმოკლებ ჯანსაღ წლებს.

[1] ჭაპანი – მძიმე შრომა.

●

ვიპოვე!...
მოვდივარ,
დაღმართში ვეშვები,
მეღობებიან...
ვღელდები;
აღმართულ კედლებს
გონებით ვემსხვრევი,
განსაცდელს
ვეძლევი.

სვლები ძნელდება,
თუმცა, არ ვიქცევი;
სხვა მწვერვალს
ვიპყრობ;
ვიმარჯვებ,
სასურველ საქმეს ვერთვები,
ვმშვიდდები.

●

დრო გადის...
ცხოვრება
მომავლის
ახალ გზებს
შლის...
საჩემო არ არის,
მახრჩობს ფიქრები,
ეს კოშმარები
ჭკუიდან

მშლის...
ვუხმობ უფროსებს
(მორჩილი შვილი ვარ),
მათ რჩევებს ვენდევი,
ეს ნდობა ყალბია,
სიმყარე აკლია,
მაშინვე ავაწყვე
წამოსვლის გეგმები.

გუმანით ვხვდები:
ამ ნდობას
თუ აღვუდგები,
ნაღრძობი ფეხის
ხელახლა ღრძობას
გადავურჩები.

სინამდვილეში,
ბორკილდადებულ ტუსაღივით,
იძულებითი
სასჯელმისჯილის
ბინძურ „კოიკას“,
ნების გარეშე
ვნებდები,
დროებით ვჩერდები.

მანგრევს ფიქრები!
ცხოვრებით ვიღლები!
ზრდასრულმა
მბრძანებლის კი არა,

უფლის რჩევით და
შენი გონებით
უნდა იარო!
უფლება არ აქვთ,
რადგან წყნარი ხარ,
გადაგიარონ!

●

ფიალა ივსება!
წერტილიც ისმება!

●

მოვ–დი–ვარ!...
მარტო კი არა,
უკვე...
ოთხნი ვართ!

და...
ვკერკეტდები,
დედა, კაციც ვხდები.
თავისუფლების განაჩენს,
თაყვანს ვცემ,
მუხლმოყრით
ვემთხვევი.

●

თავის უფალი
აღმართს კი არა,
სალ კლდეს
შევყევი.

საფეხურებს ვთლი...
დაღლილობისგან
ხანდახან ვშეშდები,
თუმცა, არ ვნებდები.

გადაღლა
ზღვარს ზემოთ
მფიტავს,
თან... მცვითავს,
თანდათან
ვთეთრდები.
მწვერვალზე ავდივარ,
ღუზას ვუშვებ და
მიღწეულს ვჯერდები...
კიდეც
ვბერდები.

●

მომავლის კომპასი
თუ გიმტყუნდება,
ფეხი
გადაგიბრუნდება,
ცხოვრებაც
გაგიმრუდდება.

●

დროთა სვლას
სიახლეც
მოჰყვება.

იფანტებიან–
გზები იყრება,
ცხოვრება იცვლება.

მე...
მარტო ვრჩები;
დაღლილი ვწვები,
სიმშვიდეს ვეძლევი;
ფიქრებში ვიღლები...
არავის ვჭირდები...
არავის ვეჩრები...

●

განმარტოებულს
თავს მახსენებენ:
ბავშვობის ღელე
და...
მის გასწვრივ
თეთრი ვერხვები;
ჭიშკართან–
ჭა ჭახრაკით[1];
მზეზე დამტკბარი
ლეღვები;
სახლის წინ–
ვაშლზე გასული
შავი ადესის
მტევნები;

[1] ჭახრაკი – მოხერხებული მოწყობილობა. აქ: ჭიდან წყლის ამოსაღები.

ბუხარში–
ჯირკის ღიღინი,
მტირალ–მკვნესარი
შეშები;
წამწამებდახრილ ტირიფზე–
ჭიკჭიკი ჩიტუნელების...

●

გულს კაწრავს მოგონებები,
დასტაქარია — ცრემლები.

●

ნელ–ნელა მივდივარ,
ბოლო გზას ვერთვები;
აქ...
ზოგად ლოცვებს,
და ხსოვნას
შევრჩები.

დასასრულს...
ნეტარ ტალღებში
უმტკივნეულოდ
ვეხვევი;
წინაპრებს შევხვდები.
გადავეხვევი...

13.12. 2020 წელი.
თბილისი.

გმადლობთ, უფალო!

გმადლობთ! წაქცეულს მომხედე,
ძალები მომაკრებინე,
არასასურველ ყოფიდან
გამოსვლა შემაძლებინე;

სწორი გზა ამარჩევინე,
შვილები დამაზრდევინე–
სამშვიდობოს გავიყვანე,
სწავლის გზა ავარჩევინე;

ცხოვრების გზაზე წაქცეულს,
ადგომა შემაძლებინე.
მრჩეველი, სულის საყრდენი,
მოძღვარი შეგვარჩევინე;

შრომა რომ შემაძლებინე,
ბუდე რომ გამაჩენინე,
ძალები მომაკრებინე,
აღმართი დამაძლევინე;

აბობოქრებულ ყოფაში
ლუკმას გვაწვდიდი, გვარჩინე.
ხშირად ვისხედით შენს ნავში,
დახრჩობას გადაგვარჩინე;

ცოტა ხანს ისე მაცხოვრე:
სიქველე[1] მაკეთებინე.
ნავის როლი დამაკისრე,
ფონს გასვლა შემაძლებინე;

წუთისოფლის ხერგილები
სიმშვიდით დამაძლევინე,
რწმენით და აღმსარებლობით
გარდაცვლა შემაძლებინე.

21.10.2014 წელი.
თბილისი.

[1] სიქველე – ქველი (ძვ.) მოწყალე, კეთილი.

პანტა მსხალი

ტყის ველური პანტა მსხალი
ავადმყოფობს,
შველას ითხოვს,
მორევია სენი ფითრის,
ფიჭვს ეხვევა, ალბათ, შიშობს–
არ წაიქცეს;
ალბათ, უნდა,
ზეზეურად შეხვდეს სიკვდილს.

24.09.2018 წელი.
მანგლისი.

ცრემლების მაგივრად სეტყვა

გაყინულ გულიდან,
ცრემლების მაგივრად,
გადმოგორებული სეტყვა
ფურცელზე ცვივა
და... უმოწყალოდ,
სევდიან აზრებს სეტყვავს.

23.12.2015 წელი.
თბილისი.

სიკვდილი

შენ გგონია, შორს არის,
სადღაც გადაკარგული?
არა, იგი თან გახლავს,
ბეჭზე გაზის მეგზური.

შენ გგონია, ვერ გამჩნევს,
არხეინად დადიხარ,
უცებ გიჩქმეტს, გახსენებს,
რომ სოფლიდან გადიხარ.

ბოლო ზარსაც შემოჰკრავს,
ათვლას იწყებს წამების,
თვალთ ბინდს ჩამოგაფარებს,
დროც მთავრდება წამების.

06.11. 2019 წელი.
თბილისი.

და-ბრუნ-დით!!!

კარუსელს მოვწყდი და... კედელს მივენარცხე,
ძლივსღა ვდგავარ და... სად ვარ, არ ვიცი.
– რა მოხდა?
– რა იყო?
– ნეტა, სად არიან?
ამაოდ გავყვირი.
პასუხი არ ისმის.

ესმის კი ვინმეს, ჩემი ძახილი?!
ეს ხომ ფიქრია, ხმას კი არ ვიღებ;
– დაბრუნდით!
– დაბრუნდით!
– დაბრუნდით!
– დაბრუნდით!
ჩემი გულის ძახილს, არავინ ისმენს.

სასაცილოა!..
ვინ დაბრუნდება?
მომწყდნენ, გარბიან, „ვარსკვლავებს“ კრეფენ;
ასე ფიქრობენ, ასე ჰგონიათ:
კარგი ყოფილა დედის გარეშე!

და... დავრჩი ასე, ეულად, მარტო,
წამერთვა ძალი, გადის ცხოვრებაც,
ვერ ვეგუები: დაშლას და ნგრევას,
არა ერთობას, არა ცხონებას...

წუთისოფელში იმედი ხვალის
გულში სათუთად ფუჭად ვატარე?
დასანანია...
შვილებისათვის:
ძილ–დაკარგულმა,
სულ–დაკარგულმა,
გულ–დაკარგულმა...
თავიც დავკარგე.

11.02.2014 წელი.
თბილისი.

დაგვყურებს ღმერთი

მოკრძალებულად, კუთხეში მდგარი,
შევყურებ მამულს, მიწას აყალოს...
უფალო! ხედავ? წართმეულ მამულებს?!
მინდა, მიწიდან სინდისმა აყაროს.

ათ მცნებაზე და სინდისის ძარღვზე
ბავშვობიდანვე თუ არ იზრდები,
ძარღვგაწყვეტილი, შლეგი[1], ნადირი,
ნამუსიანი ვეღარ გახდები.

მოძალადე და... ჯაყო ჯაყვებით,
სხვისას იხვეჭს და სტომაქსაც ივსებს.
მე ისევ სანთლით ხელში დავდივარ,
მათ თვალში, ალბათ ხითხითსაც ვიწვევ.

ძალმომრეები თუკი აშენდა,
სინდის–ნამუსი თუ გადაშენდა,
მოსეირემაც თუ ისეირა,
მაშინ მართალმა რა იხეირა?

და ცხოვრებაში სიმართლის მთესველს,
სინათლით მავალს, სიმართლის მძებნელს,
მეგობარიც თუ, არ გიდგას გვერდში,
ღმერთმა მოკითხოს განმდგარს და მგლეჯელს.

[1] შლეგი – (თურქ.) გიჟი, გადარეული, ფეთიანი.

უსახსრობისთვის გისვრიან განზე,
სიმართლე არ ჭრის ბილწზე, ცბიერზე,
მოსეირეთ და სიმართლის არ მთქმელთ,
გული რად სწყდებათ გადამთიელზე?!

ენას გაგლეჯენ სიმართლის თქმისთვის,
შხამიან ისრით გულს გიკოდავენ,
გზებს გიხერგავენ სიცრუის ქსელით,
რას არ ჩმახავენ, რას არ ბოდავენ.

მუდამ მომწონდა: გულწრფელი შრომა,
ცრემლებით ლოცვა, ხელში სანთელი,
მე არ მხიბლავდა ლხინი სხვის ხარჯზე,
აღმზარდეს რწმენით– დაგვყურებს ღმერთი.

05.07. 2017 წელი.
თბილისი.

დაუღლელი შემოქმედი

ღრუბელი გულში, სულს დაამძიმებს,
ნაღველია და სევდა.
უღრუბლოდ ზეცა აბა რაღაა?
ნიჭიერ მხატვარს ვხედავ.

„მხატვარი“ ცაზე კადრებს ჩქარა ცვლის,
ჩქარა, წამიდან წამში.
ვხედავ: შემოქმედს არ ეზარება,
დახატავს, წაშლის; და... ხატავს, და... შლის.

ხან ხე, ხან დათვი, ხანაც მანქანა,
ხან სახლი, დედა შვილებთან ერთად...
ჩქარობენ, სწრაფად გარბიან, თითქოს–
ევაკუირებულია[1] ყველა.

ბოლოს ერთ მასად გადიქცნენ,
გაერთიანდნენ მხსნელად;
გადმოიღვარნენ ცრემლებად–
,,შეწირულები მსხვერპლად“.

და... ეშვებიან მიწაზე,
ახლა სხვა სახით ვხედავთ,
გვევლინებიან მკურნალად...
ისევ გარბიან ზე–ცად.

[1] ევაკუირებული – (ლათ.) ორგანიზებული გამოყვანა მოსახლობისა იმ ადგილიდან, რომელსაც რაიმე საფრთხე მოელის.

მათთვის ზეცაა სავანე,
დასეირნობენ ლაღად,
გადმოხედავენ ქვე-ყანას:
–ნეტა, საჭირო სად ვართ?

ისევ და ისევ ცრემლებად,
ისევ და ისევ ზე-ცად,
არ იღლებიან ზრუნვაში,
როგორც შვილებთან დედა!

11.05.2014 წელი.
თბილისი.

მე, ასეთი ვარ

გულს, დანა ვერ დამისერავს!
გულს, ტყვიაც ვერ გამიხლიჩავს!
გულს, სიტყვა გადამიჩეხავს!
გულს, სიტყვა გადამიგლიჯავს!

31.01. 2018 წელი.
თბილისი.

მილოცვა

მარადიული სიცოცხლისთვის
არ გავჩენილვართ,
შენ რომ გისურვო.
იცოცხლე მანამ,
ვინემ შეგრჩეს
შნო და ლაზათი.
რა საამოა, მარტო სიცოცხლე?
უნდა იცხოვრო!
არ შეენატრო სხვისსა სიცოცხლეს,
შენ თუ დაზამთრდი!
●
დაე, შენ გქონდეს, ღვთის წყალობა,
ყველა ჟამიერ!
იჯანმრთელე და... იბედნიერე,
მრავალჟამიერ!!!

04.07.1978 წელი.
ქუთაისი.

დედის დრო ჩაილია

დედის სიცოცხლის ბოლო წუთები ჩემს თვალწინ ჩაილია. იგი ვერ ლაპარაკობდა. დაკარგული მეზღვაური შვილის უშედეგო ლო–დინში ასრულებდა სიცოცხლეს. შვილის სურათის დანახვაზე, მას ცრემლი ჩამოუგორდა და თვალებიც, სამუდამოდ დახუჭა.

წუთისოფელთან
დამშვიდობების
დროს მიაღწია...
შვილის ლოდინში,
ქანცგალეულის თვალებმა,
სივრცე გაარღვია,
ყოფითობიდან გამოაღწია;
შარას გახედა...
ხედვა შედგა,
გახევდა.

ჩაფიქრდა:
დრო ულმობელი,
უღიმ–უღამოდ
როგორ ჩაილია?
თვითონაც რომ გაილია?!
ალბათ, კომპასი თუ აირია,
თორემ...
იმედის მომტან მაცნეს
თავგზა რამ აურია?!
მიხვდა,
სიტყვანი სამახარობლო,
მისთვის დაილია;

იმედის სანთელიც,
ჩაიწვა,
ჩაილია...

●

ბოლო ფიქრები
დედის გულმა
ცრემლით მაუწყა,
რამაც
ღაწვის ღარი
მწარედ აუწვა,
გული ჩაუწვა...
სუნთქვაც გაუწყდა;
წამწამი,
წამწამს,
ნებით ჩაუწვა[1].

16.01. 2019 წელი.
თბილისი.

[1] ჩაუწვა – ჩაწვება, დაუწვება,

მუზა

შუაღამე გადაცურდა,
სიოც აღარ ჩუჩუნებს[1],
ვიღაც
მტკიცედ აკაკუნებს,
არა კარზე,
ჩემს გულზე.

მოფხიზლებაც
არ მაცალა,
თვითონ
გახსნა ურდული;
შემოიჭრა,
აითვისა,
გულის
კუთხე–კუნჭული.

სავარძელში მოკალათდა,
არსადაა წამსვლელი;
საჭადრაკო პარტიაში
პაიკი ჰყავს
გამსვლელი.

უთქმელადაც
კარგად ვხვდები,

[1] ჩუჩუნებს – ჩუჩუნი: მცირე მოძრაობა, ფაჩუნი.

სასაუბროდ მეწვია,
ჩამჩურჩულებს
ჩუმად ყურში,
მძიმე წარსულს,
ხერგიანს.
აზრებს ვაწყობ...
შავით თეთრზე
ვაგვირისტებ ნაკარნახებს,
სევდიანს...

●

სუფლიორი[1],
მორჩა კარნახს,
მხრებზე შემომეხვია,
გულიც შემიმსუბუქდა და...
შემისახლდა მზეწვია[2];
ჰოდა, ამასობაში,
აისიც კი მეწვია...
ჩანაწერი წავუკითხე,
რულიც[3] წამომეწია.

23.12.2018 წელი.
თბილისი.

[1] სუფლიორი – [ფრ.] (ძვ.) მოკარნახე.
[2] მზეწვია – პატარა ფრინველი.
[3] რული – მსუბუქი ძილი, თვლემა.

თავგზააბნეული

პიკის საათის უფლებას ვერ ვეღირსე,
მცირედის ღირსიც არ გამხადა განგებამ,
რიტმული ცხოვრებით მინდოდა მეცხოვრა,
გემო შესვენების ბედმა არც მაგემა.

ამ ლამაზ სამყაროში თავი გამბეზრდა,
აისი არ მიყვარს – აღვიძებს იარებს,
მწვავე ტკივილებზე, ჩუმ–ჩუმად ვქვითინებ,
ერთობა გადაგვარდა, ია იქცა, ხედ.

დაღლილს მყუდრო ძილი ძალზე მენატრება,
სიფხიზლის გემოც ვეღარ შევიგრძენი,
დაშლილ საკერავ მანქანას დავემსგავსე,
ვეღარ ავეწყობი, ისე დავიბენი.

უშემოდგომოდ „ზამთარი“ წამომადგა,
გაითოშა ჩემი სნეული სხეული,
სულ სხვისი გზამკვლევი, და... დამრიგებელი
ცხოვრებას შემოვრჩი თავგზააბნეული.

25.10.2016 წელი.
თბილისი.

მაცნე

ყოველ ცისმარე[1], ცისკრის ვარსკვლავი,
ძილბურანმოსილს მართობს,
ცაზე ნებივრობს სოლო პარტიით,
ცეკვავს, ციმციმით მათრობს.

თვალს მიპაჭუნებს[2] დიდი სცენიდან,
ჩემთან შეხვედრით ხარობს,
ბოლო აკორდის რიტმებზე
ცელქი ბავშვივით ანცობს.

გრძელი ღამიდან გამოსვლის ნიშნად
დამშვიდობებას ჩქარობს,
გამორჩეული ცის–ერთა,
ხვალის იმედით ლაღობს.

ამომავალი მზის სხივი
მის ბრწყინვალებას ახშობს,
თანდათან უჩინარდება,
თუმცა, დარჩენას ლამობს.

ღამის დასასრულს სხივის ლაციცით,
მესალბუნება[3] ნაცნობს,

---

[1] ცისმარე – ყოველდღე.
[2] მიპაჭუნებს – პაჭუნი: თვალის ხამხამი.
[3] მესალბუნება – სალბუნი: იგივეა, რაც მალამო.

წუთისოფელში ერთი აისის,
ღვთისგან ჩუქებას მამცნობს.

10.01.2016 წელი.
თბილისი.

ეპიზოდი

პატარას,
რაღაც არ მოეწონა და...
თვალზე ჩამოეკიდა
ცრემლი.
მერე?
მე–რეეე?
ღაწვზე ჩამოუგორდა
ის ცრემლი.
ღაწვზე შეჩერებული,
მრავლისმეტყველი
ცრემლის ბურთულა,
შეჰყურებს ზეცას
და ელოდება მხსნელს:
სამყაროს დედას —
მზეს!
მაგრამ, პატარამ
როდი აცალა
მზეს?!

პაწია ხელი,
ჩააფარა
ბურთულა ცრემლს!
იმ ცრემლიანი ხელით,
პირისკენ
უმალ წაიღო
პურის ნამცეცი.
ეგემრიელა,
და მოუჩქარა,
და მიაყოლა
ნამცეცს,
ნამცეცი.

21.03.2015 წელი.
თბილისი.

მხოლოდ შენთვის

მშვიდად ვერ შევხვდებოდი
გულის ტკივილს შენსას;
და...
ბავშვური ლოგიკით
გულს გთავაზობ ჩემსას.
გაკვირვებით შემომხედე...
გეტყვი,
რის თქმა სურდა გულს:
არა შენი გულისთვის,
მხოლოდ შენთვის,
შეუძლებლის
გაკეთება
სურს!

13.12.2018 წელი.
თბილისი.

ბავშვობა

მომნატრებია: ბავშვობა,
ჩაჯდომა დედის კალთაში,
დედოფალათი გართობა,
და კლასობანას თამაში.

ბებიაჩემის დანაყულ
სუნელის სუნი ახლაც მცემს,
ვაზის ფოთოლში შეხვეულს,
და... პამიდორზე წასასმელ.

ნამყენი თუთის ნაყოფით
პირდაპირ ხეზე „გაძღომა“
მერე, ბლითა და ალუბლით,
ბია მსხლით, პირის ჩატკბობა.

ხანაც ღელეში ჩავრბივარ,
დედის ხმა მომსდევს დაღმართზე:
–„ჩუსტის“ გარეშე ნუ წახვალ,
ქვები ფეხის გულს აგატკენს!

ხან ლახტით დავხტუნაობდი,
ზღვარი არ ჰქონდა სიცელქეს,
მაღალზე შემოვდგებოდი,
ვარაკრაკებდი დიდ ლექსებს.

ხან კაბას შევიკერავდი,
ხან ვქსოვდი რაღაც–რაღაცებს,
მამას რომ გახარებოდა;
ვფიქრობდი: ქებით „ამავსებს“.

სკოლაში კარგად ვსწავლობდი,
და ხშირად უთქვამს მამაჩემს:
–მასწავლებლები შემხვდა და...
ამ „ბაღნის[1]“ ქებით ამავსეს!

–ქალო! –ეტყოდა დედაჩემს:
–შვილი მუშაობს ჩვენზე მეტს,
ზედმეტი არ დაავალო!
ის გაგვიმართლებს იმედებს!

●

ბევრი აღმართი დავძლიე,
მთები მიზნების დავლაშქრე,
შვილებს,სწავლის გზა ვუკაფე,
მშობლის იმედი გავზარდე.

●

ალალმართალმა ცხოვრებამ
უსამართლოდ გადამშალა,
ღმერთო! შემინდე ცოდვები,
თუკი სადმე შემეშალა!

31.05.2014 წელი.
თბილისი.

[1] ბაღნის – ბაღანა: (გურ.) ბავშვი.

მონოლოგი – აღსარება

უფალმა დიდი ტვირთი ამკიდა?!
—შეძლებ ტარებას? –არ მკითხა.
–რა უნდა ზიდო, შენ ვინ გეკითხება???
—კიდევ ბევრს ელოდე!... — მითხრა და... გამკიცხა.

გალახულ ბავშვივით კუთხეში ატუზული,
ტვირთაკიდებული, ვხედავ გზას გოროზს[1].
–კუთხეში სადგომად სად მცალია?
ტვირთი ასატანია გოლგოთს.

არც პიკის საათი, არც ოფლის მოწმენდა,
დრომ ხომ არ იცის მოცდა და შენდობა,
თუნდაც წავიქცე, ვერ შევჩერდები!
უფლება არა მაქვს დავუშვა შეცდომა!

ცრემლები, ნიკაპთან მდინარედ ქცეული,
ცდილობს ჩამომრეცხოს ეს დაღლა შოკური,
ცრემლიან თვალებით გზა კარგად არ მოსჩანს,
ყველაფერი ბურუსითაა მოცული.

წინ არავინ ჩანს, არც მეწევიან,
სხვისი იმედით გზას ვერ განვაგრძობ,
მზე მოწყალეა, წამეხმარება,
ბურუსს გაფანტავს, ცრემლებს დააშრობს.

[1] გოროზს – გოროზი: მედიდური, ამპარტავანი; აქ: ძალიან ძნელი.

ნეტა, ყველაფერს კარგად მოვასწრებ?
მივქრივარ, მივქრივარ, არ მინდობს დრო!
ერთი სული მაქვს, „გოლგოთს“ ავაღწიო,
ტვირთი მოვიხსნა, და... მოვისვენო.

18.12. 2013 წელი.
თბილისი.

რწმენის დასი

ნაღვერდალში ჩაწვეთებულ ცრემლის შხეფმა,
ცეცხლის ფერფლი, შეაფიფქა კაბის კალთას,
ცხელი ცრემლი, ნაკვერჩხალსაც კი ემწვავა
და ნამწვავის ნაკვალევი, შავად დარჩა.

ცხარე ცრემლით გალუმპული შავი კაბა
მიტმასნოდა მუხლის თავებს, სთხოვდა შრობას;
ცრემლგამშრალი, დარდმოსილი მამაკაცი,
იქვე ახლოს, ყალიონით სცემდა ბოლთას.

მეხდაცემულთ შეეშველა რწმენის დასი,
ძველებურად აგებებენ აისს შრომას,
მინავლული ნაღვერდალიც გაღვივდება,
შუბლგახსნილი შეხვდებიან, ქრისტეს შობას.

19.10.2017 წელი.
თბილისი.

მშვიდად ჩავცქერი უფსკრულებს

არა: კისკისი, ქილიკი; შორს ჭორი, და ვინც ხუნტრუცებს[1],
გართობა ჩემთვის უცხოა, მას ალმაცერად ვუყურებ;
ხან ვწერ, ხან ვფიქრობ, ვლოცულობ, ჩემთვის კუთხეში ვბუტბუტებ;
თვითონ ვჭრი, თვითონვე ვკერავ, თანაც ფიქრებში ვჩურჩულებ.

სასტიკი დროის მსახური მშიერს კუჭს მაინც ვუპურებ;
არც მშურს, არც ვბაძავ არავის, არც არავისთან ვზლუქუნებ;
ხშირად, ქარბუქში გზას ვიკვლევ, ქარი ყურებთან ზუზუნებს;
განსაცდელი მაძლიერებს, მშვიდად ჩავცქერი უფსკრულებს.

ჯახირში[2] მივდგებ–მოვდგები, საკუთარ თავთან ვბუზღუნებ;
მშველელი არც მიძებნია, კვლავ მარტო ვებრძვი ურჩხულებს;
ბნელეთიდან თავდაღწეულს, ცისკარი ამალუღლუღებს;
ნდობის მსხვერპლი ვარ და მაინც, ადამთ კვლავ ნდობით გულს ვუღებ.

აღმართს მივყვები გულდინჯად, ნელ–ნელა, მე არ ვთუხთუხებ;
პოვნის იმედით ვიარე, ალთა–ბალთას ვიყურყუტე,
ბოლოს, ვპოულობ ჩემს ბუხარს, ფიქრის კონებს ვაგუზგუზებ;
უფალს წყალობისთვის ვჰმადლობ, მადლიერი შევღუღუნებ.

22.10. 2019 წელი.
თბილისი.

---

[1] ხუნტრუცებს – (საუბ.) ხტის, ცუნდრუკობს, ამსუბუქებულია, უგვანოდ არშიყობს.
[2] ჯახირი – (საუბ.) წვალებით საქმიანობა, წვალებით ცხოვრება.

პატრიარქის ნათლულებს

ვუძღვნი პატრიარქის ნათლულს —
ჩემს მესამე შვილიშვილს, ბარბარეს... და არა მარტო.

ანგელოზთა სამყაროში
შენ ხარ უკვე ჩართული,
ქრისტეს რწმენით, სასოებით
ივლი ჯვარაღმართული.

დედაღვთისმშობელი და
ბავშვთა შემწე – ბარბარე
ჩაგიხუტებს, დაგირწევს,
ნიავს არ მოგაკარებს.

გაიზრდები ამ „ნანაში“
ღრმად რწმენაში ჩაფლული,
ეშმაკს დასძლევ, მოერევი
პატრიარქის ნათლული.

07.10.2014 წელი.
თბილისი.

უნიჩბო ნავი

უფალო! არ მასმინო ამბავი ავი,
იქნება ღირსმყო, მეწვიოს ნიავქარი;
ან აღარ ამეხილოს გონების თვალი,
ან იქნებ, მომიხურო სამყაროს კარი!

გადავიღალე, არ მინდა ქარიშხალი,
გაცვდა და გაილია უღელი ცალი,
გზას ვეღარ ვხედავ, კლდეები მოჩანს სალი,
ალალბედზე მატარებს უნიჩბო ნავი.

01.04.2017 წელი.
თბილისი.

მორალი

კარგია ფულიც და მანქანაც?!
მიწებს ურცხვად რომ იყოფენ?..
ჯობია, გქონდეს სიმშვიდე...
პატიოსანი გზით იცხოვრე!

13.08.2018 წელი.
თბილისი.

დაემგზავრები

ნატყორცნი
ტალახის გუნდებით
და... კიდევ
ფურთხებით,
ჩამომძიმებულ,
ჩამოთხუპნულ
და ჩამოძენძილ
ბინძურ მანტიას
იხდი და
ისვრი;
გადააბიჯებ
დამცინავ ქირქილს.

შურის ისრები
ენაცანცარა
უსაქმურ წრეთა,
კატაკლიზმებზე
თავდაღწეულს,
ვერ დაგეწევა.

და...
გამოწრთობილს
დაგეუფლება
სრულფასოვნება;
რაც გალამაზებს,

გადარბაისლებს
და...
მხრებში გაშლილს,
და...
უფრო ამაყს,
უფრორე მტკიცეს,
გზის გაგრძელება
გიადვილდება.

გამოცდილებით
გამობრძმედილი,
მხნე და ძლიერი,
სხვა ორბიტაზე
მიემგზავრები;
თანამოაზრეს
თუკი გზაში
გადაეყრები,
სიამოვნებით
დაემგზავრები.

01.01.2021 წელი.
თბილისი.

მშობლები

<u>მამა</u> იყო ღირსება და ოჯახის ღერძი,
ცოლ–შვილის კედელი და… უფსკრულზე ხიდი,
„დირიჟორი“ და ავტორიტეტი,
ოჯახის „სტუმარი“, ჭირი და ლხინი;

მცველი და ძალა, და… ციხე–სიმაგრე,
განძი და დოვლათი, შრომის მოყვარე,
მტერთან – მტერი და პირველი ხმა,
გაშლილი სუფრა და… სტუმართმოყვარე!

<u>დედა</u> იყო აღმზრდელი, ტრადიციის დამცველი,
სუფთა და წკრიალა, ნელი მკეთებელი,
„ოჯახის მკერავი“, კარგი მქარგავ–მქსოველი,
მიცვალებულთათვის სანთელ–საკმეველი.

დეკორატორი და კერძების „ღმერთი“,
ქალბატონი და თაყვანსაცემი,
„მყუდრო ბინა“ და სტუმართა გული,
დედაბოძი და ქმრისთვის სანთელი!

<u>მინაწერი</u>
გმადლობთ გაჩენისთვის, ფეხზე დადგომისთვის,
კვებისთვის, ჩაცმისთვის, გათბობისთვის,
უმცროს–უფროსობის „კლასის“ სწავლებისთვის,
ფეხის წატეხვისას გვერდში დადგომისთვის!

07.09.2014 წელი.
თბილისი.

ნათლულებს

ღვთისგან ნათელღებულნო!
ჩემო ნათლულებო!
ჩემო სულის ნაწილნო!
გულში ჩაღვრილებო!

გლოცავდით და დაგლოცავთ,
ქრისტეს სჯულზე მავალნო!
მართლის მადიდებელნო,
ქრისტეს არ უღალატოთ!

ღვთის წყალობის გჯეროდეთ!
ძნელ გზებს ივლით... იოხრავთ,
ლოცვით, კეთილი საქმით,
„გოლგოთს“ ახვალთ „იოლად“!

ისეც დიდ ტვირთს ვატარებ,
თქვენც ხომ დამემატენით?
სწორად ივლით ქრისტეს გზით?
გმადლობთ! გაიხარენით!

ნათლია.
19.01.2014 წელი .
თბილისი.

ნუთუ, ბევრს ვითხოვ?!

შუქზე ვოცნებობ,
ბნელეთში
თავს ვიხრჩობ;
ვუძლებ კი,
თუმც, გული
მუდმივად
ნათელ გარემოს
ითხოვს.

სითბოს მოყვარულს
კვლავაც
და...
კვლავაც
ზამთარი მიხმობს.
ვუძლებ კი,
თუმც, გულში
სითბო მჭირდება;
სწორედ ამიტომ...
გული
მუდმივად,
თბილ გარემოში
ცხოვრებას
ითხოვს.

გული მწყურვალი
სუფთა წყლით,

მხოლოდ
სუფთა წყლით
წყურვილის მოკვლას
ითხოვს;
მავანი,
მღვრიე წყალს
მთავაზობს,
თან...
მღვრიე მორევში
არა თუ ჩათრევას,
შიგ ჩახრჩობასაც
ცდილობს;
ეტყობა...
კარგად არ
მიცნობს.

ერთგული გული
ადამთ მოდგმათგანც,
„მღილისოდენა“
ერთგულ მოპყრობას
ითხოვს.
ისინი...
„მგლური კანონით“
გამორჩენას და წაგლეჯას
არა თუ ფიქრობს,
აღსრულებასაც
აღწევს და...

გაუმაძღრობის სინდრომს
სიამით იშნობს –
„სტომაქზე“
ხელს „ისობს“;
ჩემს კუთვნილ ლუკმას
ურცხვად ითვისებს,
არსობის წყაროს
მისპობს.

სიკეთის მთესველი
ნაყოფს
სიკეთისას
როცა
ვერ ვიმკი,
შიმშილის გრძნობა
მიპყრობს.
თავიდან ვუძლებ,
მერე...
ვეჩვევი;
და...
თუკი ვერა
გაცლაზე ვფიქრობ;
თუმც, გულში,
კვლავაც და კვლავაც,
სიკეთის თესვის
სურვილი
მიპყრობს.

ამ ხეტიალში,
გზადაგზა ფიქრში,
მივხვდი:
ეს ჩემი არსია,
მომკალი გარსია,
რომ ჩვენ ერთნი ვართ,
ბედნიერნი ვართ.

სიხარულნაკლულ,
სიყვარულნაკლულ
გულს,
გულნაკლულობის შევსება
სურს.
სხვისი იმედით
არც მიცხოვრია,
არცა ვცხოვრობ,
არც არავისგან
არაფერს
ვითხოვ;
მაგრამ ახლა...
ახლა?
ნაკლულს,
ჩალეულს,
სხვისი იმედი
მიპყრობს.

ცხოვრება ჩემგან,
უამრავ გამოცდას,

უნაკლოდ
იბარებს;
ის კი...
ჯიუტად
„კერკეტი კაკლისგან“,
კვლავაც
რაღაცას ითხოვს,
კვლავაც
მკაცრ გამოცდას
მიწყობს.

უფალო!
შენ კარგად მიცნობ;
მარტოსულობის მსხვერპლი,
ვბედავ და...
კრძალვით გიხმობ;
შეკითხვის დასმის,
უფლებას ვითხოვ;
დამნაშავეა გული,
რომელიც
ითხოვს?
მე,
ერთხელ კიდევ,
თავს ვეკითხები,
შენც გეკითხები:
ნუთუ ბევრს
ვითხოვ?!

თუ საჭიროა,
მზად ვარ,
სასჯელიც
მკაცრი ვიღო,
და...
გული,
მრავალჯერ ნაღრძობი,
ხელახლა ვიღრძო.

უფალო!
გთხოვ,
დამეხმარო,
ლაბირინთებში
არ ავირიო,
გზა გავიკვლიო.
გადავიღალე...
კმარა გამოცდა!
ზოგჯერ, მგონია,
წუთისოფლიდან,
არც არა მინდა,
არც არას ვითხოვ;
მაგრამ...
მაგრამ გული?
გულს
რაღა ვუყო?
გული,
ჯიუტად,

თითქოსდა
ჩუმად,
თითქოს
თავისთვის,
მჩქმეტს,
არ მასვენებს,
მუდამ,
რაღაცას ითხოვს.
თუმცა...
გონება,
ხშირად
სხვაგვარად
ფიქრობს:
სამარადისოდ
თავის–უფლების,
უფლებას და...
ამ უფლებისთვის,
„ვიზას“
უვადოს ითხოვს.
●
და... მაინც,
სადამდეც ვდგავარ
ადამთ მოდგმათში,
რა ვქნა?
თუ გული,
აწმყოს აწყობას,
ცოტა სხვაგვარად

გეგმავს და ფიქრობს;
შესაბამისად,
ადამთ ინსტიქტით,
მუდამ,
რაღაცას ითხოვს,
შენგან კი არა?!
სხვისგან კი არა?!
ამ მოთხოვნების
აღსრულებისთვის,
ცდილობს,
ძალები
საკუთარ თავში
იპოვოს,
იგრძნოს.
თუკი,
სიმართლე მარწუხებშია
და
შველას ითხოვს?!
გული,
გონებას
ფიქრთა გროვაში
აქცევს და იპყრობს.
და...
თუ გონება
ხელის აქნევის,
ანდა ჩაქნევის
უმჯობესობას ურჩევს?!

პასუხად:
გული,
თავს,
თავის თავში,
მორჩილად იხრჩობს.

●

შენ, ახლა...
მრავალჭირნახულ,
მრავალქიმიან,
ეზოს კუთხეში,
ეულად მიდგმულ,
სურომოხვეულ,
მუხის
ბებერ კუნძს
ხედავ.
უვარგისობის ცილს,
ნუ დასწამებ!
ნუ შეეცდები:
ნურც,
ფეხის წაკვრას,
ნურც, გადაჩეხვას,
ნურც, გადაგდებას;
ძირძველ ქიმებზე,
იგი დგას მყარად,
და...
ვფიქრობ,
შენც,

მასთან ერთად,
თავს იგრძნობ
კარგად.
დაუზარებლად
დაგეხმარება,
თუკი ხელჩანთის,
ანდა,
პიჯაკის ჩამოკიდების
და...
ხელის გაცლის
სურვილი
გიპყრობს.

ზოგჯერ...
დაღლილი,
გვერდით ქიმებზე,
მოხერხებულად ჯდები,
ისვენებ,
ხელს შემოახვევ,
ან...
დაეყრდნობი,
თან,
მშვიდად,
რაზედაც გინდა,
ფიქრობ.

●

ვფიქრობ...
ჩემსავით,
გულის სიღრმეში,
შენც გტკივა
რაღაც,
და...
შენც,
ჩემსავით,
ფიქრში,
რაღაცა გტანჯავს.
ამ ძიებებში,
ამ მოთხოვნებში,
ფიქრთა ჯგლეთაში,
სიცოცხლეს,
ამაოდ
ვხარჯავთ
და...
ვფლანგავთ.

23.11.2018 წელი.
გიორგობა. თბილისი.

რაც აქ განვიცადე, აქ დარჩეს!

წუთისოფელში შემორბენილნი,
არა ვართ ლხინის უფალნი,
თუმცა, სურვილი დიდია,
ჭირის ვართ, ხელისუფალნი.

მოჩქარე სტუმარივით ვართ,
ზურგჩანთამოკიდებულნი,
წასვლა–მოსვლას, ვერ დავგეგმავთ,
ღმერთზე დამოკიდებულნი?!

ჭირ–ვარამიან წუთისოფელში,
მოუცლელს გამეცალა ქანცი,
ღმერთს, მხოლოდ ცრემლებით ვჰმადლობდი,
ტაძარში შეუსვლელი დავრჩი.

ძლივსღა მოვიცალე უკან მოსახედად,
შემეშინდა... გახსენებამც გადამღალა,
სამყაროს გადავხედე, ზეცას ავხედე,
ფიქრმა ჩემი გული წიგნად გადაშალა.

თურმე... იმის გარდა, რასაც ვაკეთებდი,
გულში რამდენი რამ ჩატეულა?!
მინდა, გადმოვწერო, აზრები დავაწყო,
რადგან ერთმანეთში არეულა.

ვწერ და... მგონია: ბოლოთქმაა, დასრულდა,
გული კი... ახალ სათქმელს ამზადებს,
როგორ მინდა, ბოლომდე ვთქვა სათქმელი და...
რაც აქ განვიცადე, აქ დარჩეს!

10.12.2015 წელი.
თბილისი.

ტკბილი სიტყვა

ტკბილი სიტყვა,
უძლურს,
ეულს,
მწოლიარეს
ისე შველის,
როგორც ვაჟკაცს შავი ჩოხა,
ყაბალახი,
ულვაში და...
წვერი შვენის.

18.10.2018 წელი.
მანგლისი.

ფურცლის ნაგლეჯი

რა ძვირფასია ფურცლის ნაგლეჯი,
მოსაგონარი გარდაცვლილ დღეთა;
ძალზე უბრალოს,
გახუნებულს,
და...
შემოცრეცილს
ძვირფასად ვხედავ.

07.02.2017 წელი.
თბილისი.

ჯაბანი

თუმცა ასაკმა თავისი სათქმელი თქვა,
დაღლილს და ქანცგაცლილს კვლავაც მსურს აღმასვლა,
„ბუქსირზე“ მოსაბმელ მანქანად ვიქეცი,
მშველელის ლოდინში, კი შემომაღამდა.

დამხმარეს იმედით არასდროს მივლია,
მეგონა, კარგადაც გავწიე ჭაპანი,
ცხოვრებას მომავლის იმედით ვებრძოდი,
იმედიც გამეპარა... დავრჩი ჯაბანი.

15.12.2016 წელი.
თბილისი.

რეჩხი

წვრილშვილიანმა,
ცხოვრება
მარტოკად
როგორღაც ვთალე;
სამწუხაროა...
სიმაღლეებზე
საფეხურების სწორად
გამთლელ–გამთვლელ–ამთვლელმა
ულმობელი დრო,
წუთისოფელში ცოტა რომ იყო,
ვეღარ გავთვალე.

დროთა სვლა გამომეპარა,
სიბერეც წამომეპარა.

სიბერემ...
სიბრძნის ნამცეცი მიყო,
გამოცდილების ყულაბიდან
გულში რომ იდო;
უფალმა იგი,
დაბადებამდე
კოდად ჩამიდო,
რაც სიმარტოვის
ჩემეული კოდექსიც იყო,

●

და...
განგებისად
არცა ცეტს,
არცა ყალბს,
თავშეკავებულს,
პირმოთნეობით შეფუთულმა,
ენით მორთმეულმა
სიყვარულმა
რეჩხი[1] ვერ მიყო.

03.08. 2019 წელი.
თბილისი.

[1] რეჩხი – (საუბ.) გულმა რეჩხი უყო; გული შეუტოკდა, შეუკრთა. გულმა უგრძნო რაღაცა.

როგორც ძალმიძს ვჩხრიალებ

წლებმა თავი მოიყარა;
გული რომ არ ხანდაზმულობს?
შვილიშვილებს რომ ვუყურებ,
მაშინ, გულიც გაზაფხულობს.

თუმცა, ბევრი ვიწვალე და „ვიჯახირე“,
კალმის გარდა ხელში მეპყრა ქაფჩაც, ურაც;
დავიღალე, ნარ–ეკლიან გზის კაფვაში,
უფალს შევთხოვ, ერთხელაც გამიზაფხულოს.

ფარ–ხმალს არ ვყრი, ძალებს ვიკრებ,
დატვირთული ურემივით ვჭრიალებ;
დიდ საქმეთა მოგვარება, უფლის ნებით
დამეკისრა, როგორც ძალმიძს, ვჩხრიალებ.

ჩემს ცხოვრებას სხვა ელფერი ექნებოდა,
სიყვარული ერთხელაც რომ მწვეოდა,
მაგრამ როდის? „პიკის საათს“, ვერ ვეღირსე,
სიყვარული, გულს რომ შემოხვეოდა.

ტყუილია, პიკის საათს სიყვარული,
არ დაუცდის, ის მოწვევით არ მოვა;
მოსაწვევი სიყვარულს ხომ არ სჭირდება,
გულის კარებს შემოანგრევს, შემოვა.

სიმართლეა, სიყვარულზე არც ვფიქრობდი,
ყინულოვან მთად ვიყავი ქცეული;
ზაფხული არც შემიგრძვნია, დავმდნარიყავ,
ამიტომაც, დავრჩი ასე ეული.

გეცინებათ? მერე რა, რომ მენატრება,
ზაფხულის დღე, მზის სხივებით მაძღარი,
მე ზაფხულის გაუვლელად, შემოდგომა კი არა და...
წამომადგა სუსხიანი ზამთარი.

10.11. 2017 წელი.
თბილისი.

ცხოვრებისეული „სამართალი“

რა ძნელი ყოფილა ,,ოთარაანთ-ქვრივობა“?!
ყოჩაღ, ბარაქალა, მართლაც დედა-კაცო!
მე ვერ გავუძელი, ფარ-ხმალი დავყარე,
ბოლომდე ვერა, ვერ გავიტანე კალო!

თუმცა, სიყოჩაღემ რა ჰქნა? რა შეგერგო?
გაგინიავდა ნაშრომ-ნაღვაწი?!
წუთისოფელში, ლაღად რომ იცხოვრო,
ჯაყო უნდა იყო? ფლიდი, ან ყაჩაღი?!

26.03.2015 წელი.
თბილისი.

სამოთხე გამიჭირდება

შემოდგომას ველოდი და... დამათოვდა თავზე.
სიბერე და სიმარტოვე მიკაკუნებს კარზე.

ჯარასავით ვერ ვტრიალებ, ფიქრი აღარ კმარა,
დაძინების სურვილი მკლავს, უძილობა მკმარა.

ძილი, ძილი, მხოლოდ ძილი, სიჩუმეში სადღაც,
აღარ მინდა გაღვიძება, დაღლამ გადამღალა.

ჯაყო ისევ მილაწუნებს, ისევ მაგდებს კუთხეში,
კაცის შვილი აღარ მწყალობს, ყველა გახდა უხეში.

გზის დასასრულს მახსენდება, გოლგოთის გზა ძნელი,
კარებთან ვარ ატუზული, სასამართლოს ველი.

ოფლით, ჭაპანწყვეტით ასულს – უფლის რწმენით უბეში;
განაჩენის გამოტანა, არის ჩემი ნუგეში

სამართალი იზეიმებს, „პროტეჟე“ იქ არ სჭირდება;
თუმცა...
ჯოჯოხეთის „პრაქტიკა“ მაქვს, „სამოთხე გამიჭირდება!“

11.05.2014 წელი.
თბილისი.

უფლის ხიზანი

გულში რომ გამოძერწილა,
ფიქრები, აბჯარასხმული,
გამწკრივებულან ფურცელზე
სიტყვები, მძივად ასხმულნი.

საჯაროდ აღმსარებლობა,
მიტომ დავისახე მიზნად,
დასამალი აბა რა მაქვს?
რადგან, უფალთან ვარ ხიზნად.

ის მამხნევებს, გეზს მისწორებს,
უფლის რჩევით ვაღწევ მიზანს,
დასამალი არც არა მაქვს,
არც მექნება უფლის ხიზანს.

20.04.2016 წელი.
თბილისი.

ქ-ნ მაყვალა გონაშვილს

მწვერვალები დაგიპყრია, კვლავ დაიპყრობ ახალს, მრავალს,
არ გაშინებს ქარიშხალი, აისბერგებს აპობ ლაღად,
ყოვლად წმინდა არ არსებობს, სიწმინდე კი გაგსდევს დარად,
ვერ წაქცევა! დაჩოქებას შეიფერებ მხოლოდ ტაძრად!

არა შიში! გულადობა გურულების დაგყვა ნაღდად!
ლერწამივით უტეხელი სიმართლისთვის იბრძვი მარად,
არნახულად „დაჰქუთქუთებ[1]“ ახალბედებს, ასმევ შარბათს;
განგება–გამჭრიახობა, ვხედავ, დაგყვა ღვთიურ მადლად.

ოღრო–ჩოღროს გასწორება მიზნად დაგისახავს, რადგან
ნატვრის ასრულებას ახლავს: ზარ–ზეიმი, ბუკის დაკვრა,
არსებულის კარგით შეცვლა; მითების თხზვა განზე გადგა...
შეაჭიკჭიკებ დაბნეულს, შეაგონებ: — სხვა დრო დადგა!

●

— ვაჰმე! რა ბედნიერი ვარ! ღირს ცხოვრება თურმე ამად!
ისე ჰქმენი, ნაპერწკალი შეუერთე კოცონს ალად,
ლერწმის გვერდით, მე უღირსი, მწერლის სახლში ვიდექ რადგან.

●

სამშობლოსთვის! ქართველთათვის! გაიხარე, აწ და მარად!

14. 02. 2017 წელი.
თბილისი.

---

[1] დაჰქუთქუთებ — იგულისხმება მზრუნველობ, ყურადღებას აქცევ.

ფიქრის ნაგლეჯი

ჩავლილ ფიქრს მივსდევ, და... ვერ ვეწევი,
ვერ მოვასწარი ხელის ჩავლება,
უკვე იცვალა მან იერსახე,
რის გახსენება?! რა გახსენება?!

ასე დავკარგე ფიქრის ნაგლეჯი,
საგულისხმო და მეტად საჭირო;
ასე მეგონა, ასე ვიფიქრე,
თორემ, არ იყო ალბათ საჩინო.

ფიქრის პატარა, ლიცლიცა ტალღა
შთანთქა მომდევნო ფიქრების ხროვამ;
სისულელეა პოვნის იმედი,
ტალღებში ტალღა ვინმემ იპოვა?

23.11.2016 წელი.
გიორგობა. თბილისი.

სამყარო მშვენიერია

ახალშობილთა უმანკოებას
ვერ ვინარჩუნებთ დიდხანს,
სიცოცხლეს ნუ შევიმოკლებთ,
ეს დავისახოთ მიზნად!

როგორც ჩვილს ეფერებიან,
ნაზად რომ იკრავენ გულში,
ისე სითბოთი დიდებმაც
ერთმანეთს ჩავხედოთ სულში!

სიცოცხლე გავუხანგრძლივოთ
ერთმანეთს, თუნდაც წამით;
ეს მოსაწყენი სამყაროც
მოგეწონებათ მაშინ.

ნუ დავერევით ერთმანეთს,
მოვუხმოთ კეთილ ზრახვებს,
ტოტებდალეწილს რომ ვნახავთ,
გადავარჩინოთ, გვარგებს.

სამყარო მშვენიერია,
თუ სიყვარულით შევხედავთ,
ბოროტ ზრახვათა მფლობელნი
შეფურთხებასაც შებედავს.

ყველანი წამით ჩავფიქრდეთ:
ცხოვრება რაგინდ გაჭირდეს,
არ მივიტაცოთ! შევჩერდეთ!
კუთვნილით დავკმაყოფილდეთ!

12.04.2016 წელი.
თბილისი. ავტ.№33.

ჩვენი პატრონი ღმერთია

რა ცუდია უნიჭობა?
ნიჭის პატრონს რა უჭირს?!
კარგ ლექსს დაწერს, კარგს დახატავს,
იმღერებს, თუ ხმა უჭრის.

ღვთის წყალობით ნიჭიერი,
მისი ნიჭით „ბატონობს“!
მარტოსულსაც, მრავალსულსაც
უფალი ყველას პატრონობს.

16.01.2014 წელი.
თბილისი.

სხვისთვის არაფერი, მისთვის – ყველაფერი

ბაბუაჩემის ნაშენი, ხის, გურული ოდა–სახლი
მამაჩემმა დაშალა და დადგა დიდი „კუხნა–სახლი“.

შუაცეცხლი, სამფეხი და ცენტრში გრძელი შავი ჯაჭვი,
შესაბოლად დაკიდული ტარანი და ღორის შაშხი.

მადას აღძრავს, ნაღვერდალში გამომცხვარი სქელი ჭადი,
რა კარგია, მასთან ერთად ნადუღი ან, ყველი „ხალმის“?!

„ღომის–ღომის“ თავთავები, მაღლა, ჩელტზე[1] გაწოლილა,
ბოჭკის შესაკეთებელი ბალახებიც აქ ყოფილა.

წევს საკოპე[2] და სადოქე „ზარმაცი“, მწარე ხაპები,
გასახმობად მიუწყვიათ, თოხის და ცულის ტარები.

აქვეა ზამთრის მარაგი: თხილი, ლობიო, კაკალი;
აქ ხდიან ჭაჭის არაყსაც, ბოცაში ჩადის რაკრაკით.

დაწნულ ბუდეში ნებივრობს, წიწილები და კრუხები,
და უდედმამო იხვები, და... ინდაური ჭუკებით.

---

[1] ჩელტი – (რაჭ, იმერ, გურ,) წნული ლასტი, წნელისგან დაღობილი გრძელი ოთხკუთხედი.
[2] კოპე – (გურ, აჭარ.) მწარე, მაგარკანიანი გოგრისგან გაკეთებული ჭურჭელი, ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად.

ზამთრის პირას, შეაჭრიდნენ კვირტებს ხილზე – ხანდაზმულზე,
ორმოში ჩაალაგებდნენ, რომ დაემყნათ გაზაფხულზე.

ცეცხლთან ნახავთ, გურულ ქვის და იმერულ კეცის „ნაბორებს“,
პატარა ჭადებს აცხობენ, კეცები „აახოხოლეს“.

გაამზადეს საწნახელი, შიგ კობული[1] ჩააყუდეს,
ყურძენს ჩაკრეფენ გიდელში[2], ხეზე პწკალა[3] მიაყუდეს.

საწნახელში, ჯერ ფეხებით, „დაჭყინტეს“ შავი ადესა,
მერე... კობულით ურევენ, მერე... ავსებენ ჩარექას.

საწნახელში პუჭუჭკურა[4] მაჭარს თავზე დასტრიალებს,
წუხს მაჭარი, ვერ ისვენებს, ბორგავს, შფოთავს, თან ღრიალებს.

კარგად გარეცხილ ჭურებში, ასხამენ დასადუღებლად,
მერე... სხვა ჭურში გადააქვთ, დასაწმენდ–დასაღვინებლად.

ვხედავ: სამფეხზე შემოდგეს საფელამუშე კარდალით[5],
ხმელი შეშის ცეცხლის ალი, კარდალს გარს უვლის კანკალით.

ხელმარჯვე მამის ნაკეთი, სუფრა – სამფეხა სკამებით,
დგას კერიასთან, სტუმრისთვის ივსება სასმელ–საჭმელით:

---

[1] კობული – (გურ.) მრგვლად გათლილი ხის იარაღი, ტარიანი, რომლითაც ყურძენს ტენიან საწნახელში, ჩაჭყლეტენ.
[2] გიდელი – (გურ, იმერ, აჭარ, რაჭ, ლეჩ.) ყურძნის და ხილის საკრეფავი გოდორი, თავფართო და ბოლო ვიწრო, გრძელი.
[3] პწკალა – (გურ.) კიბე.
[4] პუჭუჭკურა – (გურ.) წვრილი მწერი.
[5] კარდალი – (გურ, აჭარ,) სპილენძის ქვაბი.

მოხარშული შაშხი, ყველი და... ჭადი გაფიცხებული,
ერბო–კვერცხი, საწებელი, არაყი ჩაცივებული,

კეცის ხაჭაპურები და... კეცში შემწვარი წიწილა,
კიტრის მჟავე, ბოსტნეული, და... ღვინით სავსე ჭინჭილა[1].

ლერწმის ხარიხებს ამშვენებს, ჩურჩხელები და კუპატი,
კმაყოფილებას ვერ ფარავს, ჩვენთან მოსული სტუმარი.

შემოდგომაზე, „კუხნაში“, დგას სიმინდის დიდი კალო,
ნალიაში გოდრით მიაქვთ, დარჩეული, საღი ტარო.

დედა იტყოდა: –ვიფიქროთ, თანამედროვე „კუხნაზე“!
მამაჩემი კი, წარბშეკვრით: „კრინტი არ დაძრათ ამაზე!

მამისეული ეს შემრჩა! მიყვარს! იოლად ვერ დავთმობ!
შუაცეცხლი და კერია, ჩემს ტრადიციულ სულს ათბობს“!

ნაკ–ვერ–ჩხალ–ზე იბ–რა–წე–ბა
შე–მოდ–გო–მის ჭყინ–ტი ტა–რო,
დრომ ყვე–ლა–ფე–რი წა–შა–ლა,
ხსოვ–ნა–ში უნ–და ვა–ტა–რო!

[1] ჭინჭილა – (გურ.) პატარა დოქი.

●

იმ „კუხნაში“, მამაჩემის სული იყო თურმე მშვიდად,
კუხნა დაუნგრევიათ და... აი, რა ვიხილე სიზმრად:

ვხედავ ეზოში, ფიცარზე, საწყლად დაწოლილ მამაჩემს,
„კუხნიდან“ გამოგდებული, ეძებდა ღამის გასათევს.

ხელი მოვკიდე, ოთახში შემოვიყვანე; ტიროდა:
„დედაშენს არ უნდა ექნა, „კუხნა“ მიყვარდა, იცოდა“!

●

თუკი მეღირსა ოდესმე, ოთახი ჩემთვის და ცალკე ...
მამა, გპირდები: „ტახტს დავდგამ და შენს სულს იქ დავავანებ“!

04.07. 2014 წელი
თბილისი.

ტრადიციონალისტის ბედი

ქართულ ტრადიციებს,
ოჯახურ კანონებს,
დაბადებიდან
კვალში მივყვებოდი;
და...
დღესაც მივყვები
დილიდან დილამდე,
როგორც
ბრმა მიჰყვება,
ფრთხილად და
მორჩილად,
გაბმულ თოკს
სახლიდან ჭიშკრამდე.
მერე რაა?
რა მომცა?
ქილიკი,
დაცინვა „ნაგლად“
და...
თვალებით, პირთამდე.
მაგრძნობინებდნენ:
–შენი ტრადიციით
რა გაქვს?
რა მიიღე და
რამდენი?

–ჩვენ კი,
შემოგვხედე?
(ხელებს გაშლიდნენ),
–ამდენი!
არც ლხინში
და...
აღარც ჭირში,
არ მიძახოდნენ.
–რად გვინდა
ფრთამოტეხილი,
ზეთჩალეული კანდელი?!
და...
თუკი ვინმე,
და...
თუკი მაინც
გამიხსენებდა,
და–მიძახებდა,
ვფიქრობდი:
–ესაა,
ჩემი სულის ნაწილის
ნარჩენი.
თუმცა...
უმალვე ინანებდნენ,
და...
გამრიყავდნენ

ბაიათებით[1].
ასე ვხვდებოდი
„აბსაიდში“,
გადარჩეული,
ვერშესამჩნევი,
ვით
თეფშის კუთხეში
უვარგისი,
საჭმლის ნარჩენი.

●

გავიდა ხანი.
დაე, მიძახონ
ჭირშიც და...
ლხინშიც;
მე,
უკვე,
აღარ მადარდებს
აღარავისი,
არც ვა–ვა
და აღარც
ხი–ხი.

●

ვარ
ახლა ჩემთვის,
და...

[1] ბაიათი – (არაბ, სპარ.) აღმოსავლური ცალხმიანი ჰანგი. აქ: ტკბილი სიტყვით, შეფარვით.

მხოლოდ ჩემთვის,
ღვთისგან
და...
არა სხვისგან,
გადარჩეული
ეული.
თავზე დამნათის,
ალი ნათელი
სავსე კანდელის.

25.07.2015 წელი.
თბილისი.

ნიკოლოზს
(პირველ შვილიშვილს)

ჩემო მზეჭაბუკო,
ჩემო საყვარელო!
ჩემო საუნჯევ და ...
ჩემო სანატრელო!

ჩემო ბებოს ყველავ,
ჩემო გაღიმებავ!
ჩემო გულმზიანო,
ჩემო ცისარტყელავ!

ჩემო ნათელსვეტო,
ჩემო თვალისჩინო!
ჩემო ამოსუნთქვავ,
ჩემო გულის სიმო!

ჩემო მომავალო,
ჩემო აზრიანო!
ჩემო წყაროს წყალო,
ჩემო დარდიანო!

ჩემო ღვთის წყალობავ,
ჩემო ხიბლიანო!
ჩემო სიამაყევ,
ჩემო ჯიგრიანო[1]!

[1] ჯიგრიაანი – (საუბ.) მოსიყვარულე, გულთბილი, ლაზათიანი.

ჩემო საყდრის დარო,
ჩემო ფესვმაგარო!
ჩემო გულის ზარო,
ჩემო სულის ღარო!

ჩემო მთის მწვერვალო,
ჩემო „მზიან დარო“!
ჩემო ჭიკჭიკელა,
ჩემო მერცხლის დარო!

ჩემო ცის ვარსკვლავო,
ჩემო გულთ–მისანო!
ჩემო გულში გულო,
ჩემო „გულთ–ხმისანო“!

ჩემო მართვევ, მარდო,
ჩემო მთვარევ, ბადრო!
ჩემო თხილის გულო,
ჩემო გულის ვარდო!

ჩემო ნატვრის თვალო,
ჩემო ნაძვის კვარო!
ჩემო გულის ცემავ,
ჩემო გულის კარო!

●

შენმა გულში ჩაკვრამ,
დედაბუნებას ვთხოვ!

წმინდა მარიამს ვთხოვ!
სისხლი ამიჩქაროს!

გაქვავებულ გულში
სითბო შემეპაროს!
სიყვარულით სავსე
სული გამეპაროს!

იცი, როგორ მინდა,
რომ შეიძლებოდეს?
სულს ვაბარებდე და...
შენ წაგადგებოდეს!

ციცი ბებო.
24.09.2013 წელი.
თბილისი.

უთქმელად უწყის უფალმა

აუ!!! რამდენი გასულა,
რომ ჩავუფიქრდი ამ წლებს?!
შემოდგომის პირს ველოდი,
ზამთრის ცივ დღეებს ვათრევ.

წუთისოფელში სად არის
დრო ვაი–ვიშის, ან მოთქმის?!
„გულგამობრძმედილს“, სხვა არა,
მარტოსულობა გამომდის.

გადავიღალე, გამბეზრდა
გულის სიღრმეში ზლუქუნი,
მონაზვნურ ჭაპანს ვეწევი,
მსურს ბუხრის პირას ბუბუნი.

გამოზამთრებას ვერ შევძლებ,
აღარ გამიზაფხულდება,
ზამთარს ნასტუმრებს, სიცოცხლეც
ზამთარში დამისრულდება.

ხელცარიელსა სტუმრებსა
სამყარო უხვად გვმასპინძლობს,
უთქმელად უწყის უფალმა,
რას ვტოვებთ საშვილთაშვილოს.

18.07.2018 წელი.
თბილისი.

ყოფა დემოკრატიული

ჯანმრთელობა ტყის ფრინველთა,
ნეტა, რა გასაკვირია?!
საღ ხილს ჭამენ და საღ კენკრას,
არა ჭიანს, არა მტვრიანს.

ჭამისთვის კი არ ცოცხლობენ,
კენკავს იმდენს, რომ იცოცხლონ,
ყოფა დემოკრატიული,
არ აქვთ ცენზი საუფროსო.

მათ არა ჰყავთ პრეზიდენტი,
არ სჭირდებათ პარლამენტი,
არ სჭირდებათ მაღაზია,
არცა ლარი, არცა ცენტი.

30.09.2018 წელი.
მანგლისი.

ბევრს არ გთხოვთ

(დაკარგულ, მეზღვაურ ძმას)

ბობოქარ ტალღებმა შენ შორს გაგრიყეს და...
ამიტომ ვერ გვაწვდენ, შენს ძახილს მქუხარეს,
დიდი დრო გავიდა... გელით და ვერც გელით...
რის გამოც ვართ ისევ ყველანი მდუმარედ.
იხარე, სადაც ხარ! იცოცხლე, სადაც ხარ! ერთი კი იწამე:
ჩვენთვის მთავარია, ვიცოდეთ სადა ხარ! რომ დგახარ შენ ისევ მიწაზე!
ხომ არ გწყურია? იქნებ კიდეც გშია? შენ ბევრი იწამე...
არად ჩააგდო წარსულის ვაება, მომავლის გჯეროდეს, იწამე!
იქნებ, ტალღებმა ჩვენაც გვისმინეს, იქნებ, ჩვენც გვიწამეს.
ძალას ბუნებისას, ძალას ტალღებისას, ჩვენ მეტს რასა გთხოვთ?!
ერთის სიცოცხლეს, მხოლოდ ერთის სუნთქვას... ბევრს არ გთხოვთ!

06.04.1978 წელი.
ქუთაისი.

ფიქრშიც მივქრივარ

მივქრივარ,
მივქრივარ,
მანქანით მივქრივარ,
ფიქრში ვარ...
ფიქრშიც მივქრივარ.

ვხედავ,
ხეები ტოტებგაშლილნი,
ჩასახუტებლად გამზადებულნი,
მეგებებიან,
თითქოს,
ფოთლებით მეფერებიან;
თუმცა...
უმალვე სახტად რჩებიან;
ჩამიქროლებენ გულდაწყვეტილნი,
ვერ მომყვებიან,
უკან რჩებიან.
ტოტების რხევით,
ფოთლების ქნევით
მეთხოვებიან.

ახალ–ახალი ხეთა ნაკადი
კვლავაც მხვდებიან,
მეგებებიან;
კვლავაც და ისევ,

გულდაწყვეტილნი,
უკან რჩებიან;
„ვერჩახუტებით“ აჩუყებულნი
მეთხოვებიან.
და…
მომძახიან:
–გზა მშვიდობისა!
  გზა მშვიდობისა!
  კვლავაც შეგხვდებით!
  დაგელოდებით!
  ჩვენ აქ დაგხვდებით!
  შეგეგებებით!
  გზა მშვი–დო–ბი–სა!
  გზა მშვი–დო–ბი–სა!

მე თან მივქრივარ,
მანქანით მივქრივარ,
ბუნებას ვეტრფი და
სამყაროს ხიბლში ვარ;
და…
სხვადასხვაგვარ
ხეთა მწყობრები,
ამაჩუყებელ
გრძნობათა ლტოლვით,
და
გაუმხელელ სიყვარულებით
კვლავაც მხვდებიან,

მეგებებიან,
თუმცა...
უმალვე
უკან რჩებიან.

მე კი...
მივქრივარ.
ვთვლემ...
თან მივქრივარ,
თან ფიქრში ვარ
და...
ფიქრშიც მივქრივარ.

27.03.2017 წელი.
გზა: ბათუმი–თბილისი.

იმ ქვეყნად ვიგემებთ

გულს რაღაც გვიხარებს,
სულს რაღაც გვიმშვიდებს.
გულში რაღაც გვწყინს და
სულს რაღაც გვიმძიმებს...

ვისწრაფვით – წავიდეთ,
ფორიაქს გავშორდეთ,
დავეძებთ სიახლეს,
გულს რაც დაგვიმშვიდებს.

ჩვენ, სულ ამ ფიქრებში,
დროს ვკლავთ და ვინელებთ,
სულიერ სიმშვიდეს
აქ ტყვილად დავეძებთ,
იმ ქვეყნად ვიგემებთ.

04.10.2018 წელი.
მანგლისი.

ფუტკარს

მახსოვს, „ფუტკარივით შრომობო“, შემაქეს.
— მრცხვენია, როგორ მოვალ შენამდე?!
თუმცა, ჩემს შრომას გრაფიკი არ ჰქონდა,
შენ ვინ შეგედრება, ასულო ღმერთამდე?!

ისიც პატივია, ღირსად მცნეს შედარების,
მუხლმოყრით ქედს ვიხრი შენს წინაშე.
ქადაგად დავმდგარვარ: თაფლი ძვირფასია,
მიირთვით უზმოზე, გარგებთ ხვალ დილამდე!

განგაშს ვტეხ! ყოველთვის მაშფოთებდა
წვეთიც დავარდნილი მაგიდაზე.
წყალს ვატანთ რა ნაშრომ–ნაჯაფარს?!
კოვზით, დაუღვრელად ვერ მიგვაქვს პირამდე.

— რა განათლება გაქვთ? რა ზუსტი თვალზომა?!
რა თანამშრომლობა?! ჩვენ რა გვჭირს უსაშველო?
მთელი სიცოცხლე დროს ბოღმაში ვკლავთ,
სხვისი ნაშრომი... გვიყვარს უსაშველოდ.

თქვენ გაქვთ ცხოვრების განაწესში:
კანონმორჩილება აწესოთ.
უძლურს, უილაჯოს რას უშვრებით?
მოხუცებულთათვის „პენსია“ არსებობს?

თუ, თქვენი კანონით: ვინც შრომობს, ის შესჭამს?
უძლურნი „ბრძოლის ველს“ ტოვებენ, კვდებიან?
თუ, მათთვის ცალკეა სუფრა და მსახურნი?
პატივს მიაგებთ მხცოვანს და „სტაჟიანს“?

●

ადამთ მოდგმასაც გვჭირდება წესი!
იგი, ოღონდაც, მკაცრად წესობდეს!
ყველა, ღირსებით დაემორჩილოს
განაწესს... რომც არ მოსწონდეს!

21.08.2015 წელი.
თბილისი.

სული დარჩება

ნივთი – სადმე გრჩება, ან დაგეკარგება,..
ფიქრები – შენშია, მუდამ თან დაგყვება,..
სხეულის გარდაცვლა თიხაში მოხდება,..
სული კი – სამყაროს კუთვნილად დარჩება.

04.10.2018 წელი.
მანგლისი.

ბარბარეს
(შვილიშვილს)

ბედნიერებამ მოგვიკაკუნა რიდით, თუმცა, თან ახლდა რიხი.
ამოიყვანეს რა დედის მუცლიდან ქალი პატარა, ტირის!
რაოდენ დიდი დაჰყვა ქართველი ქალის კრძალვა და რიდი?
ბარაქალა! „ახალ სიცოცხლესთან“ გაიდო ახალი ხიდი.
ატყდა რეკვები, მიმოწერები, მიმოსვლები, გაჩაღდა ლხინი.
როს ჩააწვინეს, სამშობიაროს მგორავ კალათში ხიბლით,
–ეს არა! დედა მინდაო! –ტირილით გვამცნო: აზრი და ფიქრი.

●

ბარტყივით უმწეო და სათუთი,
„ახალ სიცოცხლის“ მშვენება!
რა ვქნა, თუ ასე მინდა და…
ბებიას თუ მეჩვენება?
ამზევდი ბიჭების შემდეგ,
როგორც ვარსკვლავი ცისკრის,
ერთ პრანჭიკელას, ორი ძმა
საშველს გაგიჩენს ციმ–ციმ!

10.07.2014 წელი.
თბილისი.

ჩიტების ვიში

კვიპაროსის წვერის რხევას
შემომჯდარი ყვავი იწვევს,
— ცათამბრჯენი დავიპყარი!
ის შეჯიბრში, ჩიტებს იწვევს.

ამის გამო ვერის პარკში
აუტეხავს ჩიტებს ვიში,
ყვავის მიმართ გაწიწმატდნენ:
— ამპარტავნებას ვერ იშლი?!

ჩიტების გუნდს რას გვედრები?
რა ყოფილა ხის სიმაღლე!
ცის გუმბათზე დავსრიალებთ,
ტრაბახა ხარ! თქვი – სიმართლე!

12.06.2018 წელი.
ვერის პარკი.

არაჩვეულებრივი ფინალი

საბა ბიჭი ბებოსთან
ვეღარ „გაძღა“ თამაშით:
„კუკუდამალობანა“,
ხან ჭადრაკი, ხან შაში.

— ახლა და–ჭე–რო–ბა–ნა!
ბებომც არ დაიზარა.
— ესა, მესა, გადის ესა! —
საბამ გადაითვალა.

ბებოს ერგო მგლობა და
კურდღლის როლი – საბას,
„კურდღელს“ ვინ დაეწევა?!
„მგელი“ გაისარჯა!

ჰოდა, ამასობაში,
მოსრიალდა „მგელი“,
წელში მოხვდა ტახტი და
თვალში – საბას ხელი.

იატაკზე გაიშხლართა,
ვერც თვალს ახელს, ვერც დგება;
საბა „კურდღელს“ ცერი სტკივა,
„მგელს“ სასწრაფო სჭირდება!

ციცი ბებო.
22.03.2015 წელი.
თბილისი.

შემოდგომის აკორდი

გაკეკლუცდნენ ფოთლები,
ქარმა წამოუბერა,
მათ საამურ შრაშუნზე
გულმაც წამოუმღერა.

„შექუჩქუჩდნენ“ კუთხეში,
სათქმელი აქვთ მრავალი,
— სანაგვეზე არ გვინდა,
კაბები გვაქვს ახალი!

ქარი კაბებს „გვისრისავს“,
ნელი სიო გვალაღებს,
შეგვახვედრებს ერთმანეთს,
სიყვარულში გვახარებს.

ერთურთს ვემშვიდობებით,
საბალოდ ვართ მორთულნი,
ვღელავთ.... ბოლო აკორდზე
ცეკვა გვინდა „ბოშური“.

ზოგი გუნდში ცეკვავს და...
ზოგიც ცალკე ცანცარებს,
— ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ,
ცოტა, კიდევ გვაცალეთ!

09.05.2018 წელი.
თბილისი.

„შეკუმშული“ ავტობიოგრაფია

ზაფხულის ცაზე
შავმა ღრუბელმა
მოიყარა
თავი,
ამინდი შეიცვალა,
ამოვარდა ძლიერი
ქარი.
მე რომ მეგონა –
მტკიცე და ურყევი,
შემოანგრია
ურდულიანი
კარი;
მილეწ–მოლეწა
იქაურობა,
არ დაახანა
წამი.
ქვა ქვაზე არ დატოვა,
მოსპო,
გაანადგურა
წლობით ნაშენი,
ნამოღვაწარი.

●

ნასახლარზე წამოჭიმეს:
უსაძირკვლო,
ტყუილებით შემკული,
ფარჩაშემოხვეული,

ფიცრული,
ხუხულა
სახლი.
ხანმოკლე იყო
მისი მდგრადობის
ხანი.

●

მანამ გაუძლო,..
ვიდრე
არ მოსკდა ზეცას,
მსხვილმარცვლოვანი,
წვიმა – ავშარი[1].
დაიძრა ღვარცოფი,
მოასკდა ნიაღვარი,
იოლად დაინგრა
ტყუილებით ნაგები,
ხუხულა და
ფიცრული
სახლი.
ღვარმა წაიღო
ღერა–ღერად
ყველა ფიცარი.
გადარჩა მხოლოდ –
ფიცარი
ცალი.
იგი
ტივის როლს

[1] ავშარი – აქ: თავსხმა, კოკისპირული წვიმა.

ასრულებდა
ამ ნიაღვარში,
ნიჩბების როლს კი –
ხელები
ქალის.
●
ქალი... დედა,
და...
დედა... ძლიერი,
ტანზე აკრული
სამი
უმწეო
ღლაპით...
ეხეთქებოდნენ
აქეთ–იქით,
ეძებდნენ
ნაპირს.
ბოლოს და ბოლოს,
როგორც იქნა,
გაირიყნენ,
ხმელეთზე
შედგნენ;
ტანჯვა–წვალებით
არაფრისგან
რაღაცა
შექმნეს.
●
გავიდა ხანი...
სამი ღლაპისგან

ჩამოიქნა:
სხვადასხვაგვარი,
თუმცა მაგარი,
ერთგვაროვანი მასალისგან
გამოძერწილი,
სამი
ტაძარი.
●
დედა კი...
დედა
მარტო დგას,
ცალკე,
„გულ–გამომწვარი“;
შემოხვევია
სიბერის
ჟამი,
ხელში უჭირავს
სიმებდაწყვეტილი
ქნარი.
ღვთის
იმედად
ქცეულს
ზ ე – ც ი ს კ ე ნ
მიუპყრია
წყალობის
თვალი.

15.12.2015 წელი.
თბილისი.

დახასიათება

ცანცარი და ცუღლუტი მისი საქმე არ იყო,
ის ცხოვრობდა ღვთის შიშით, ბოროტისგან შორს იყო.
ცოდნას ეუფლებოდა, მისი საქმე ეს იყო.
იცინოდა? ხანდახან, მხიარული არ იყო.
ნატვრააუხდენელი, კმაყოფილი არ იყო.
ოოო! რამდენჯერ გაწვალდა, მორჩილი რომ არ იყო...
„ჩალიჩა“ და თაღლითი არასოდეს არ იყო.
ხერხემალში გატეხილს გვერდში ედგა, მნე იყო.
არ უყვარდა უწესო, ქარაფშუტა არ იყო.
იმედი და მეგზური, სინდის-ნამუსი იყო.
ძირძველ ტრადიციების სანთლის ნთებაში იყო.
ენდე, არ გიღალატებს! ენდე, თუნდაც ბრმა იყო!

15.04.2014 წელი.
თბილისი.

პირველი შვილის დაბადება

თითქოს, განათდა სამყარო,
აღარას ვამბობ ტკივილზე,
მთელი სიცოცხლე გელოდი;
თამთა! შენ, ჩემო პირიმზევ!
აწ, შენი იყოს დილის მზე!

14. 05. 1984 წელი.
ბათუმი.

სიმშვიდე წამალია

სიმშვიდე წამალია და სალბუნი,
არ მსურს ტაშ–ფანდური და დავლური,
საქმე ხან წარმატებულია, ხან — კრული,
გულისცემა მაფხიზლებს, როგორც აღლუმი.

01.09. 2019 წელი.
თბილისი.

წერტილი მხსნელია

ტირე, მძიმე და მრავალწერტილი,
კითხვითი ნიშნების გროვა,
ძახილის ნიშნები, მწყობრად დაწყობილნი,
მესრად შემომერტყნენ მჩოქავს.

არა და არ იქნა, წერტილს ვერ ვეღირსე,
დიდი იმედით გავყურებ გზას:
იქნებ შევხედო შორიდან მომავალს,
ავიკრა გუდა და... გავუდგე გზას.

ძახილის ნიშნები ხელს მიშლიან,
მიჯრით მიეწყვნენ ერთურთის მხარს,
ზოგი — სწორად და ზოგიც — თავდაყირა!!!
შეკრეს გალავანი, ვერ ვხედავ ხსნას.
სად მიხვალ?
სად მიხვალ?
სად მიხვალ?
სად მიხვალ?
კითხვითი ნიშნებიც უბამენ მხარს,
ტირე მრავალწერტილს შეეკრა,
გარშემომერტყნენ, ხელ–ფეხს ვერ ვძრავ.

ხელ–ფეხ–შე–ბორ–კი–ლი, ვდგავარ გაუნძრევლად,
მხოლოდ წერტილის იმედად–ღა ვარ,
წერტილი მხსნელია! მოვა და მიშველის:
გაფანტავს სხვა ნიშნებს, ვეღირსები ხსნას.

13.02.2014 წელი.
თბილისი.

ჯანმრთელობის საიდუმლო

ვუძღვნი „შიმშილობის სასწაულის“
ავტორს: პოლ ბრეგს.

– „ჭამისთვის ნუ ცხოვრობთ!
ჭამეთ სიცოცხლისთვის!“ —
შიმშილობის სარგებლობას ქადაგებდა,
პირის გემოვნებას ყურს ნუ ათხოვებთო,
ერთჯერად სიცოცხლეს პატივს მიაგებდა.

–„ ღვთისგან ნაბოძებ სიცოცხლეს გაუფრთხილდით!
კუჭს ნუ აღორებთო!“ — სამყაროს მოძღვრავდა,
ას წელს მიღწეული გვაძლევდა მაგალითს,
ოკეანეზე „ლიჟებით“ ცურავდა.

ბიჭივით ბობოქარ ტალღებზე სრიალი,
ურჩობად ჩაეთვალა, ალბათ, „ზევიდან“,
ტალღამ გაიტაცა, გულში ჩაიხუტა,
კაჟივით ჯანმრთელი წავიდა ქვეყნიდან.

სიკვდილს ვერ აცდები, არც დაავიწყდები,
გამოძებნის, ვინ იცის, მოსვლის რა ფორმას?!
ჯან–მრთე–ლი, ჯან–მრთე–ლი, ტკივილის გარეშე,
წახვალ, გაეცლები ამა სოფლის ყოფას.

13.10.2016 წელი.
თბილისი.

ძალზე მენატრება

დიდი და პატიოსანი ოჯახის შთამომავალნი...
ამპარტავნებას უარი ბავშვობიდანვე ვუთხარით!
რას ვიფიქრებდით, ერთმანეთს ზამთრამდე თუ ვერ ვნახავდით?!
ოჰ, რა სიამით ღიღინებს, ტრადიციული „ბუხარი“.

●

კარგს კრძალვით ვეგებებოდით,
უღირსს – უღირსად, მტრულადო,
კარს ვურაზავდით სიბილწეს,
უღვთოთ ვურჩევდით უფალსო.

ლამაზად გავლილ ბავშვობას
არ ემუქრება გაქრობა!
ძალზე მენატრება... ჩვენი
ერთად სწავლა და გართობა.

15.04.2014 წელი.
თბილისი.

ბებოს ფიქრები

ეეხ!
60 ზამთარი.
ეეხ!
60 წელი.
ვისთვის ცოტაა და...
ვისთვის – ბევრი;
ეეხ!
60 სიხარული
რომ მენახა ჩემი,
ცოტა იქნებოდა ეს წლები ჩემთვის!

მაგრამ, მწუხარება, ფიქრი და დარდი
გახდა განუყრელი მეგობარი ჩემი;
ამიტომაც, მეჩვენება, ეს ოხერი წლები,
„თითეული“ საუკუნედ, ე.ი. ბევრი.

07.01.2015 წელი.
თბილისი.

გურულის შეხუმრებული მისალმება

– გამარჯობა, იმერელო!
ზესტაფონში როგორა ხართ?
– გმადლობთ, კარგად!
ფეხზე ვდგავართ გურულების გასახარად!
– რაიო?
გეიგონეთ , ამან რა თქვა?
გურულები გაგვახარა;
სხვებზე არ იფიქრეთ პაწა[1]?
გეიხედე...
მეგრელები სახტად დარჩა!
მეგრელებო!
მეიფიქრეთ ახლა რაცხა[2]!

24.07.2015 წელი.
თბილისი.

[1] პაწა – (გურ.) პატარა.
[2] რაცხა – (გურ.) რაღაც.

„ანბანურ ინტეგრალებზე“ მუშაობა

დრომ ინება და ანბანურ ინტეგრალებს,
ავყევ–ჩავყევით აზრების სერიას,
რაკიღა სიტყვები „კრიმანჭულს“ მღეროდნენ,
იმედი აციმციმდა, გათბა კერიაც.

კარგადაც ავეწყვეთ, ხან ჭირდა ერთობა,
ორთაბრძოლაში ფონი ჩნდებოდა საღი,
ფარდა დაეშვა, საქმეც დასრულდა დროით[1],
ირწმუნებოდი, ბოლო იქნება კარგი.

ფიქრებს მიწიერს, უფალიც სწყალობდა;
იყო კრძალვა, შიშიც, თუმცა... ზომიერი;
აჰა! „შემოდგომა“ იანვრისაც ვნახეთ,
სიტყვაც ითქვა და... ფასდებაც, გონიერი.

19.10.2017 წელი.
თბილისი.

[1] დროით – იგივეა, რაც დროულად.

ჯვრისწერის იუბილე

ცხრა წელი, ცხრა ნეტარება!
ჯვრისწერის თარიღი ბევრდება, ბერდება,
ეჩვევით ერთურთს, ტყუილად ფიქრობთ:
ნეტა, სიყვარული ხომ არ ნელდება?

—არამც და არამც, არ დაიჯეროთ!
შთამომავლობას გადაეცემა
ოლიმპიური ჩირაღდანივით
და... არასოდეს აღარ ჩაქრება.

დაღვინებისას, წელთა სიმრავლის
თქვენ დაჯერება გაგიძნელდებათ!
სიყვარული კი... კვლავ გაგრძელდება,
არ დაძველდება! არ დაბერდება!

09.02.2017 წელი.
თბილისი.

დედა – ალთას,
შვილნი – ბალთას

მარტოდ დარჩენილი,
მარტოხელა დედის ფიქრები.

მომაკვდავი შვილით ხელში
დერეფანში დავდიოდი,
დიაგნოზით განწირულ ჩვილს
ლოცვას ნანად ვუმღეროდი.
ჩაეძინა იმ ლოცვაში,
მომიბრუნა შვილი ღმერთმა.
ექიმმა თქვა:
— ჩვენ... უძლურნი!
ალალ, შვილი!
ყოჩაღ, დედავ!

●

სამი შვილი გამოვზარდე,
ჩაიარა ბევრმა წყალმა;
გაზრდილთ, უკვე გზაზე დამდგართ,
აღარ უნდათ დედის ნახვა.
უმამოდ და უთვისტომოდ
არ ვუსურვებ შვილის გაზრდას!
თვითონ
არ დაბერდებიან,
იქნებიან ახალგაზრდა?
ვაი, ჩემო, „თავ–ბედშავო“?!

ვინ დამეძებს, როგორა ვარ?
შვილებზე გადაყოლილი
ახლა უპატრონოდ დავალ.

●

ჩანთით ხელში გზაზე ვდგავარ,
ღვთის იმედი გულით დამაქვს,
უმარშრუტო ავტობუსში
ჩავჯდები და წავალ სადღაც.
მისამართი არ ექნება იმ ჩემს ალაგს.
„რა კარგია!“...
შვილებს სირცხვილი არ დასწვავთ:
— მისამართი რომ არა გვაქვს?
   სად მოვძებნით?
   როგორ ვნახავთ?
და... დავრჩებით, სამუდამოდ,
დედა — ალთას, შვილნი — ბალთას!

01.09.2014 წელი.
თბილისი.

დაწყებითის მასწავლებელს

დიდ მაესტროს ასაწყობად
მოგაბარეს როიალი,
ერთნაირკლავიშიანი,
ყველა სხვადასხვახმიანი.

თმენით, ხერხებით ნაცადით,
აზრებით სუფთაწყლიანით,
ააწყვე ჰარმონიული,
სიმღერა მრავალხმიანი.

26.06. 2019 წელი.
თბილისი.

გონებით

გონი — ფუძეა ყოველის;
ოღრო-ჩოღროთა სამყაროს,
თავს ვერ დააღწევ ღონებით!
მხოლოდ და მხოლოდ — გონებით!

18.10.2019 წელი.
თბილისი.

მამაჩემს

რვოლუციის[1] ხნისა ხარ,
მჯერა, რომ გეამაყება!
ორივ სამოცი წლისა ხართ,
ნეტავი თუ გედარდებათ?!

რევოლუციის რაღა ვთქვა,
კარგია მისთვის სიბერე;
მაგრამ, შენთვის ხომ ცუდია?
წლები გაკლდება, სიმხნევეც.

21.01.1977 წელი.
ქუთაისი.

[1] რევოლუცია — იგულისხმება, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია.

რჩევა

მახსოვს შენი კისკისი, აივანზე ჩვენთან...
ახლა, ვხედავ დარდში ხარ, გულმოკლული დგეხარ;
კარგად დაიმახსოვრე გამოცდილის რჩევა:
არ გაბედო წაქცევა! უნდა იქცე მეხად!

გულს ვერაფერს უბრძანებ! დარდმა ფეხქვეშ გაგთელა?
ილოცე და იარაც მალე დაგიამდება!
ოხვრით, ცრემლით ლოცვას როცა დაამთავრებ,
როს შებრუნდე შვილისკენ, გაღიმება სცადე!

გამხნევებული და ბედნიერი დედა
აამაღლებ განწყობას, შვილიც გამხნევდება.
ძალზე წაგადგება შენი დედის ლოცვა!
ემთხვიე და შეჰვედრე: იქცეს შენზედ ლოცვად!

25.12.2013 წელი.
თბილისი.

ლალი დათიაშვილს

(გამოთხოვება თანაკურსელთან)

ცხოვრება დედამ შეგაყვარა,
სიცოცხლეს სილაღით ეტრფოდი,
სხვის წყენას გულში ჩაიკლავდი,
სათქმელს... მეგობარს თუ ეტყოდი.

„ლალი სუსტიაო, რას შეძლებსო?“ —
დედა ჩვილივით თავს გევლებოდა,
მიმოგყვებოდა ყველგან სტუდენტსაც,
იმ ქვეყნად შენი დარდი გაჰყვებოდა.

უდედოდ დარჩენილზე ბევრი მიფიქრია,
„ობლის“ მხნეობა მეგობრებს გვიკვირდა,
ჭირში გამაგრების არსი დაგვანახვე,
დედობა... როგორღაც შენმა დამ იკისრა.

რამდენ ენერგიას, ზეშთაგონებას,
თურმე იტევდა სუსტი სხეული,
იმდენი შეძელი, ადგილი დაიმკვიდრე
მხატვართა კავშირში, ღირსეული.

დედა არ ყოფილხარ, მაგრამ პატარებზე
ისე ზრუნავდი, გვაკვირვებდი ბევრს,
ჯანის სიმრთელე თუმცა შეგერყა,
სატკივარს არ უხრიდი ქედს.

არც დამონება, აღარც თავის დახრა,
შრომით და რწმენით ებრძოდი „ავ კლანჭებს“,
კეთილმოსურნეთ იქით ამხნევებდი,
მაღალ ღმერთს ტაძარში უნთებდი სანთელს.

ბოლო წუთებშიც კი... მზრუნველ დას მიმართე:
„დაწექი! გადაიღალეო ლოცვაში!“
მჯერა, უფალი სამოთხეს გიბოძებს,
წილი არ გიდევს ცოდვაში.

2.05.2017 წელი.
თბილისი.

რ ა დ?

წუთისოფელს რად ვესტუმრე,
ვჭირდებოდი განა ვინმეს?
უფლის თანადგომით ვდგავარ,
ყურს არ ვუგდებ არამკითხეს.

ყურადღებას არც მაქცევენ,
დავდივარ და ვერც მამჩნევენ,
შემხვედრს მე თუ არ ავუვლი,
გვერდს გამკრავენ, წამაქცევენ.

23.12.2017 წელი.
თბილისი.

მზემ თავისი გაიტანა

ულრანი ტყის ფიჭვებს შორის
მზის სხივებმა გაჭრეს ხვრელი,
თვალი თვალში გამიყარეს,
ჩამისახეს იმედები.

იმედები დათბობის და
უკეთესის იმედები
თავისთავად შემოაღწევს,
ძალადობით არა, ნებით.

გაძლიერდეს, გაღუღუნდეს,
ნება–ნება შეთბეს სული,
შებუდდეს გულის ბუხარში...
და ატეხოს ტკა–ცა–ტკუ–ცი.

მზემ თავისი გაიტანა,
მჭიდროდ შემომხვია ხელი,
როცა გულშიც შეაღწია,
დავთბი, აღარა ვარ ხელი[1].

24.09.2018 წელი.
მანგლისი.

[1] ხელი – (ძვ.) სულელი, გიჟი.

ქალს

მოჩუხჩუხე წყაროვ,
კლდისთვის სანეტარო,
ქვისთვის ნიაღვარო,
ბალახისთვის ნამო!

ვისთვის საშიშარი
ქარბორბალა ხარო,
ვისთვის ნიავქარი,
ვისთვის, სიოვ წყნარო!

ვისთვის, მისაბაძი
მეგობრობის ქნარო!
ვისთვის, ჩაქროლებავ!
ვისთვის, სამუდამო!

ვისთვის, საფიცარო!
ვისთვის, სატკივარო!
აბედოც[1] და კვესოც[2]!
დედაბოძო მყარო!

19.04.2016 წელი.
თბილისი.

[1] აბედი – ხის დაკორძებული კანი.
[2] კვესი – ფოლადის ნაჭერი, რომლითაც ტალზე (კაჟზე) ჩამოკვრით ცეცხლს აჩენენ.

ნაცნობ უცნობს

შავებიან ხანდაზმულს თავი დავიწყებია,
დასვენების მაგივრად, საქმე აუჩენია,
ყვავილებით დატვირთულს ეჩქარება „არკისკენ“,
თითქოს ცხელი სადილი მიაქვს ავადმყოფისკენ.

ცვლის ყვავილებს, „ათანწყობს“, საზეიმოდ დარაზმავს,
შესციცინებს თაიგულს, მორთავს, როგორც „პატარძალს“.
„იარუსზე“ შემოსვამს, შორიდანაც გახედავს,
ელოდება „სასიძოს“, ვინც ისურვებს წაღებას.

„ნაცნობ-უცნობ“ ქალბატონს, ნეტა რა დამართნია?!
სიმარტოვეს გაურბის? გადარჩენა სწადია?
იქნებ ფიქრობს: ბოლო გზა კაპიკ-კაპიკ აშენოს,
გულისწყვეტის ცრემლებით ამ გზაზე დაამშვენონ.

14.06.2015 წელი.
თბილისი.

საავადმყოფოში

ღამეა.
განყოფილებაში „ყელ-ყური“
ოთხი „კოიკაა“ დაკავებული.
უძილობაში, თავმდგმურს, „ხელს მიწყობს“
„კვარტეტის“ ხვრინვა, „შეთანხმებული“.

01.05.2015 წელი.
თბილისი.

მეეზოვე

დილით ადრე, ვერის ბაღში,
ზაფხულობით დავალ მარტო,
გზაში მეეზოვე მხვდება...
— გამარჯობა!
— გაგიმარჯოს!

10. 08.2018 წელი.
თბილისი.

ტკბილ-მწარე სიზმარი

ალბათ ბედისწერამ გიწინამძღვრა,
სურათით ბოლო სახე გვისახსოვრე,
— „ასეთი მივდივარ, სახსოვრად გქონდეთო!“
მწარედ გამართლდი, ნაღველში ჩაგვტოვე.

თითქოს გუშინ იყო ჩვენი ტრაგედია,
ორმოცი წელი რა სწრაფად გაფრენილა,
წუხელ სიზმარში გიხილე, ძამიკო,
შენ ისევ ოცდარვა წლის დარჩენილხარ.

„გუშინდელ საქმეთა“ განგრძობას ცდილობდი,
ქარბორბალასავით დაქროდი,
წახმარებასაც ვერ ვახერხებდი
სიბერის გამო, თუმცა ვლამობდი.

ზღვა სიხარულის დაფარვა მიჭირდა,
ახლობელთ სამცნობად ტელეფონს ვეძებდი,
როგორღაც ვიპოვე, მაგრამ შედეგი?
ნომრის აკრებას ვერ ვახერხებდი.

21.09. 2017 წელი.
თბილისი.

წყნეთიდან წაღვერში

(„ანბანური ინტეგრალების“ მოტივებზე)

წვერებიანი
წვიმაში
წაღებით
წამლისთვის წავიდა
წყნეთიდან წაღვერში.

წისქვილში წააწვინეს, წარღვნაში მოხვედრილი,
წნევამ წააქანა...
წყალი დალია;
წასვლის წაიმღერა
და...
სულიც დალია.

<u>მორალი:</u>

წამლის მომტანი თუ არავინ გყავს,
თუ მომკითხავიც არ სჩანს აღარსად,
ეს მარტოხელა რაღაზედ დახვალ?
წამლის გარეშეც წახვალ უფალთან.

16.11.2017 წელი.
თბილისი.

გირჩი

ტყის მშვენებას წარმოადგენს
დედოფლად მორთული გირჩი,
აკნატუნებს მის ნაყოფს
„ფაფუკკუდიანი“ ციყვი.

06.10.2018 წელი.
მანგლისი.

დილა მანგლისში

დილით, ძროხები მორჩილად
გზას მიუყვებიან ნაჩვევს,
მეპატრონე კი,.. რატომღაც
უსტვენს და... გადუჭერს სახრეს.

25.09.2018 წელი.
მანგლისი.

უსათაურონი

●

უტყვმა უტყვობას უტყვად შესჩივლა:
–სათქმელის „ყლაპვით“ გადავიღალე,
მეც კარგად ვარჩევ ბნელსა და ნათელს,
საკმარისია, უნდა ვთქვა რამე!

02.04.2016 წელი.
თბილისი.

●

წუთისოფელში მოვლინება დაბადებაა,
დაბადებაა საიქიოსთვის გარდაცვალებაც,
გარდაცვალების პომპეზურობა უპრიანია მართლაც,
გარდაცვალებით დაბადება... სამუდამოა რადგან.

04.04.2016 წელი.
თბილისი.

●

დროს მუდამ თავდახრილ შრომაში ვატარებ,
ჰგონიათ, საფულეს ბევრ ფულსაც ვაბარებ.
მაგრამ, რადგანაც ვერ ვფლობ თაღლითურ ხერხებს,
ნაშრომით თავის გატანას ძლივსღა ვახერხებ.

04.04.2016წელი.
თბილისი.

●

ზამთარს მკაცრს ველოდები,
ცივია შემოდგომაც,
ცხოვრება გაჭირდა,
მჭირდება „შემოდგომა“.

24.08. 2019 წელი.
თბილისი.

●

ცუდის მოლოდინში დრო სწრაფად გადის,
კარგს დრო გაურბის გვერდიდან,
ამ აღმართ–დაღმართში და ბრძოლა–ჭიდილში
ცხოვრებაც გვეცლება ხელიდან.

09.04.2016 წელი.
თბილისი.

●

მე მესმის მხოლოდ ისეთი ხალხის,
ერთგულება რომ ყოველთვის ძალუძთ.
რას ჰგავს ეს ყოფა?! სულ გადაგვარდნენ...
გულში გიკრავენ... ზურგში გირტყამენ ჩაქუჩს.

08.03.1996 წელი.
ააარ ფ/სამინისტრო.

●

ავუვლი და ვერ ვიმეგობრებ,
ვინც ფეხს დაიწმენდს სხვის ღირსებებზე,
გვერდს როგორც თხის ჯოგი შეუბრალებლად
ნეკერს გადაკვნეტს ტყის ბილიკებზე.

30.11.2017 წელი.
თბილისი.

●

ტკივილებსა და სევდასთან
სიხარულს ვეღარ ვათავსებ,
გულმარტო, ფიქრში ჩამთვრალი
ნაფიქრალს ფურცელს ვაბარებ.

14.12.2017 წელი.
თბილისი.

●

დაღლილია შალვა ბაბუ,
ჩრდილში ჭილზე წევს,
დარდიან გულს წიგნს აყოლებს,
თან ყალიონს „წევს“.

13.06.2018 წელი.
თბილისი.

●

ყვავილნართა ხეივანში
წითელი ვარდები ყვავის,
ბულბული გადაკარგულა,
ჩხავილი გაისმის ყვავის.

13.06.2018 წელი.
მთაწმინდა.

●

სიყვარული მწამს
ართქმული,
როცა გულში იწვის და...
ღვთის წინაშეა აღთქმული.

23.06. 2019 წელი.
თბილისი.

●

მხიარულთათვის
ცხოვრება კარგია,
ჩაფიქრებულებს...
არაფრად არგია.

30.09. 2019 წელი.
თბილისი.

●

ჩემი ორეული წუთისოფელია,
ისიც ჩემსავით დაუნდობელია.

23.04. 2020 წელი.
თბილისი.

●

მიყვარს წერა, მართალია,
სიმარტოვის წამალია.

13.08.2018 წელი.
ვერის ბაღი.

სარჩევი

შემოდგომის კრიმანჭული — თამთა ხიხაძე 3
წამწამებდახრილი ტირიფი — ავტორი 6

ცხოვრება – ერთგვარი მეჯლისია 7
მზის სადიდებელი 9
ვიპოვე, რასაც ვეძებდი! 16
წითელ ნეკერჩხალს 18
მიმართვა ადამიანს აკროსტიხად 19
იმედი არ მტოვებს 20
საღირალი 22
წერაში შვება მოდის 23
შემოდგომის ფერადოვნება 24
სილამაზე ცვეთადია, სიყვარული — გულში მრჩენი
ერთი ნახვით შეყვარება 26
მე ტყვე ვიყავ, შენ კი მუნჯი 27
დედობის არსი 28
მსურს, მაგრამ... 29
ნაცნობზე ვწერ 29
იძულებითი გადაწყვეტილება 30
ვარ დანაპირები 30
ანდერძისამებრ წავიდა 31
ბუნების „პოპური“ 32
დ ა ბ ა დ ე ბ ა 33
გზას ვეღარ ვხედავ 34
იმედი 34
ბუნებრივი პეიზაჟი 35
შუქ-ჩრდილის დუეტი 36
ქრისტე ისმენს 36

გადავრჩები! გადავრჩები! 37
მაცნე კვამლი 38
ჩვენ 38
დუბლების დუბლი 39
ვედრება უფლისადმი 40
ნ ა ტ ვ რ ა 41
„ჯღა“ ბრძნული 41
წინაპრებს შევხვდები 42
გმადლობთ, უფალო! 49
პანტა მსხალი 51
ცრემლების მაგივრად სეტყვა 51
სიკვდილი 52
და-ბრუნ-დით!!! 53
დაგვყურებს ღმერთი 55
დაუღლელი შემოქმედი 57
მე, ასეთი ვარ 58
მილოცვა 59
დედის დრო ჩაილია 60
მუზა 62
თავგზააბნეული 64
მ ა ც ნ ე 65
ეპიზოდი 66
მხოლოდ შენთვის 68
ბავშვობა 69
მონოლოგი – აღსარება 71
რწმენის დასი 72
მშვიდად ჩავცქერი უფსკრულებს 73
პატრიარქის ნათლულებს 74
უნიჩბო ნავი 75
მორალი 75

დაემგზავრები 76
მშობლები 78
ნათლულებს 79
ნუთუ, ბევრს ვითხოვ?! 80
რაც აქ განვიცადე, აქ დარჩეს! 91
ტკბილი სიტყვა 92
ფურცლის ნაგლეჯი 93
ჯაბანი 93
რ ე ჩ ხ ი 94
როგორც ძალმიძს ვჩხრიალებ 96
ცხოვრებისეული „სამართალი“ 97
სამოთხე გამიჭირდება 98
უფლის ხიზანი 99
ქ-ნ მაყვალა გონაშვილს 100
ფიქრის ნაგლეჯი 101
სამყარო მშვენიერია 102
ჩვენი პატრონი ღმერთია 103
სხვისთვის არაფერი – მისთვის ყველაფერი 104
ტრადიციონალისტის ბედი 108
ნიკოლოზს 112
უთქმელად უწყის უფალმა 115
ყოფა დემოკრატიული 116
ბევრს არ გთხოვთ 117
ფიქრშიც მივქრივარ 118
იმ ქვეყნად ვიგემებთ 121
ფუტკარს 122
სული დარჩება 123
ბ ა რ ბ ა რ ე ს 124
ჩიტების ვიში 125
არაჩვეულებრივი ფინალი 126

შემოდგომის აკორდი....127
შეკუმშული ავტობიოგრაფია....128
დახასიათება....132
პირველი შვილის დაბადება....133
სიმშვიდე წამალია....133
წერტილი მხსნელია....134
ჯანმრთელობის საიდუმლო....135
ძალზე მენატრება....136
ბებოს ფიქრები....137
გურულის შეხუმრებული მისალმება....138
„ანბანურ ინტეგრალებზე“ მუშაობა....139
ჯვრისწერის იუბილე....140
დედა ალთას, შვილნი ბალთას....141
დაწყებითის მასწავლებელს....143
გონებით....143
მამაჩემს....144
რ ჩ ე ვ ა....145
ლალი დათიაშვილს....146
რ ა დ?....147
მზემ თავისი გაიტანა....148
ქ ა ლ ს....149
ნაცნობ უცნობს....150
საავადმყოფოში....151
მეეზოვე....151
ტკბილ-მწარე სიზმარი....152
წყნეთიდან წაღვერში....153
გირჩი....154
დილა მანგლისში....154
უ ს ა თ ა უ რ ო ნ ი....155

ყდის სურათი გადაღებულია ავტორის მიერ

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ციცინო ჩხაიძე
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინი
ციცინო ჩხაიძე
ნანა დუმბაძე

დაიბეჭდა
შ.პ.ს. „თეკა@კომპანიაში“

დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, 1955 წლის 16 იანვარს. 1972 წელს დაამთავრა შუხუთის საშუალო სკოლა.

პროფესიით ეკონომისტია.

წლების მანძილზე მუშაობდა ინჟინერ-კონსტრუქტორად.

ჰყავს სამი შვილი და სამი შვილიშვილი.

ISBN 978-9941-8-2989-5